საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

ვსწავლობთ ტექსტის გაანზრახებას

გამოცდების ეროვნული ცენტრი

გამოცდების ეროვნული ცენტრი

ვსწავლობთ ტექსტის გააზრებას

ტესტური მასალები კითხვის უნარის განსავითარებლად

კრებულის შემდგენლები: ნინო გორდელაძე
თამარ ოთხმეზური

რედაქტორი: თამაზ ვასაძე

ნაწილი I

(კრებული I 2005 წლის გამოცემა)

შესავალი

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა. ამაზე ზრუნვა სწავლების ადრეულ საფეხურზევე უნდა დაიწყოს. როგორც ცნობილია, პიროვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე, ბავშვობის ასაკში გაღვივებული წიგნის, კითხვის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება ადამიანს. კითხვა ეხმარება მოზარდს შეიცნოს სამყარო, საკუთარი თავი. საინტერესო, მრავალფეროვანი, ასაკის შესაბამისი სირთულისა და მოცულობის ტექსტები, წიგნიერი გარემო, ბიბლიოთეკები, საუბრები წიგნების შესახებ კლასში, თანატოლებთან – ის აუცილებელი პირობებია, რომლებიც ხელს უწყობს მოზარდს, შეიძინოს ლიტერატურული გამოცდილება, ჩამოუყალიბდეს მხატვრული გემოვნება, იკითხოს სიამოვნებით და არა ძალდატანებით.

მკითხველის ჩამოყალიბების პროცესში ცხრა-ათი წელი მნიშვნელოვანი ასაკია. ამ დროს კითხვის უნარი, რომელიც ერთ-ერთი მთავარია საბაზო უნარებს შორის, უკვე ჩამოყალიბებულია, მოზარდი დაუფლებულია კითხვის ტექნიკას და იგი იწყებს კითხვას იმისათვის, რომ ისწავლოს. ამ ასაკში ბავშვის კითხვის უნარის შემოწმება გულისხმობს იმის გარკვევას, რამდენად წარმატებული იქნება იგი მომავალში, შეძლებს თუ არა მაღალი კლასების სასწავლო პროგრამის დაძლევას.

ამ კრებულში გაერთიანებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის 2005 წლისა და 2006 წლის გამოცემები *„ვსწავლობთ ტექსტის გააზრებას“, კრებული* I (2005 წელი), *კრებული II* (2006 წელი).

I ნაწილი

2003 წლის სექტემბრის ბოლოს საქართველოში ჩატარდა სახელმწიფო შეფასება მშობლიურ ენაში. მისი მიზანი იყო დაწყებით კლასებში მიმდინარე სასწავლო პროცესის შემოწმება, მისი დადებითი მხარეებისა და ხარვეზების გამოკვეთა და კვლევა, ჩვენება იმისა, თუ რა არის დაძლეული და რა – არა 9-10 წლის მოსწავლეთა მიერ იმ მასალიდან, რომელსაც ისინი სწავლობენ დაწყებით კლასებში.

მშობლიურ ენაში I-IV კლასების სასწავლო პროცესის *შეფასებისას* ოთხი კომუნიკაციური უნარიდან (კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა) შემოწმდა ორი – კითხვა და წერა. შემოწმდა, აგრეთვე, ენობრივი კომპეტენცია – ლექსიკა და გრამატიკის ცოდნა.

I ნაწილში (კრებული 2005) წარმოვადგენთ კითხვის ტესტს, რომელიც გამოყენებული იყო კითხვის უნარის შესამოწმებლად 2003 წლის ეროვნულ შეფასებაში.

კითხვის ტესტისათვის შევარჩიეთ ოთხწლედის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი რამდენიმე ტექსტი, აგრეთვე სირთულით და თემატური თვალსაზრისით ამ მასალის ანალოგიური ტექსტები. ესენია: ხალხური ზღაპარი, ლიტერატურული ზღაპარი, თანამედროვე საბავშვო მოთხრობა, ისტორიული მოთხრობა და ლექსები. *კითხვის ტესტში* ჩავრთეთ, აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის ტექსტები, რომლებიც სასწავლო საგანთა (მათემატიკის, ბუნების) სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალის ანალოგიურია და რომელთა მსგავს ტექსტებს მოსწავლეები საბავშვო ენციკლოპედიებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან იცნობენ. ტექსტებს ერთვის სხვადასხვა სირთულის ტესტური კითხვები და დავალებები. სპეციალურად არის შერჩეული როგორც ადვილი, ისე რთული კითხვები, რაც საშუალებას გვაძლევს, გამოვკვეთოთ და განვსაზღვროთ მოსწავლეთა მიღწევის დონეები.

კრებულში წარმოდგენილი ტესტები იმით გამოირჩევა, რომ მათი შექმნის პროცესი, აგრეთვე ტესტირების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი მთლიანად ემპირიულ კვლევას ეფუძნება. კვლევის შედეგად დადგინდა ტესტური დავალებების სირთულის ინდექსი, ანუ გაირკვა, სახელმწიფო შეფასებისთვის ჩატარებული ტესტირებისას მოსწავლეთა რამდენმა პროცენტმა უპასუხა სწორად თითოეულ ტესტურ კითხვას. დადგინდა ისიც, თუ რამდენად აქვს მოცემულ ტესტს ცოდნისა და შესაძლებლობების მიხედვით მოსწავლეთა დიფერენცირების უნარი.

ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან კრებულის ბოლოს, ტესტების შეფასების სქემებში მითითებულია ტესტური შეკითხვების სირთულის ინდექსები – თითოეული შეკითხვის ნომრის გვერდით მოცემულია რიცხვი, რომელიც აღნიშნავს, პროცენტულად მოსწავლეთა რა რაოდენობამ დაძლია მოცემული კითხვა თუ დავალება. შესაბამისად, რაც უფრო დიდია ეს რიცხვი (70%-ზე მეტი), მით უფრო ადვილია შეკითხვა, ე. ი. ტესტირებისას მოსწავლეთა უმრავლესობამ დაძლია იგი. და პირიქით, თუ ეს რიცხვი მცირეა (30%-ზე ნაკლები), შეკითხვა რთულია, მოსწავლეთა უმეტესობამ ვერ გასცა სწორად კითხვას პასუხი. ეს მონაცემები დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს, უფრო ნაყოფიერად იმუშაონ მოსწავლეებთან კითხვის უნარის განსავითარებლად.

II ნაწილი

II ნაწილი (2006 წლის გამოცემა) განკუთვნილია ცხრა-ათი, ნაწილობრივ თერთმეტი წლის ბავშვებისათვის. იგი სირთულის თვალსაზრისით I ნაწილის (*კრებული* I) შემდგომ საფეხურს.

კრებულის 2006 წლის გამოცემა მივუძღვენით დავით ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას. მოთხრობები „ქუჩაში მოსმენილი საუბარი“ და „თაგვების ფეხბურთი“ მწერალმა ჩვენი კრებულისათვის დაწერა.

ეს ნაწილიც ამოწმებს **წაკითხულის გააზრების უნარს** – რამდენად იგებს, იაზრებს ამ ასაკის ბავშვი სხვადასხვა ტიპის ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და ამაზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა, მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა, პერსონაჟის ხასიათის თვისების და ქცევის მოტივის ამოცნობა მისი მოქმედების მიხედვით, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე; ახერეხებს თუ არა წარმოსახულისა და რეალურის ერთმანეთისაგან გარჩევას, საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვას, გარკვეული ენობრივი და მხატვრული გამოსახვის საშუალებების გარჩევას და შეფასებას. II ნაწილი შეიცავს აგრეთვე ტესტურ დავალებებს, რომლებიც ამოწმებს მოსწავლის ენობრივ ალღოს და ლექსიკურ მარაგს.

კრებულში წარმოდგენილი მასალა იმ ტექსტების და ტესტური კითხვების ანალოგიურია, რომელთა საშუალებითაც მოწმდება 9-10 წლის მოზარდთა წიგნიერების განვითარების დონე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (*წიგნიერების საერთაშორისო კვლევა* – PIRLS). ეს კვლევა ოთხ წელიწადში ერთხელ მოზარდთა კითხვის უნარის შესამოწმებლად ტარდება (შევნიშნავთ, რომ კრებულში მოცემული ორი ტექსტი თავისი ტესტური კითხვებით გამოყენებული იყო PIRLS-ის ერთ-ერთ საერთაშორისო კვლევაში).

კრებულში შეტანილია როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორთა მხატვრული და საინფორმაციო ხასიათის ტექსტები. შევეცადეთ, მასალა მრავალფეროვანი ყოფილიყო. ვფიქრობთ, 21-ე საუკუნის ქართველი ბავშვების თვალსაწიერის გაფართოებისათვის მნიშვნელოვანია, მათ იცოდნენ, თუ რას კითხულობენ და როგორ აზროვნებენ მათი თანატოლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ხოლო მასწავლებლებისთვის საინტერესო იქნება ტექსტის განხილვისა და გააზრების იმ საშუალებების და მეთოდების გაცნობა, რომლებსაც თანამედროვე სასწავლო პრაქტიკაში იყენებენ.

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა, რაც სწავლების ადრეულ საფეხურზევე უნდა დაიწყოს. ეს კრებული სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ბავშვებო,

ამ კრებულში თქვენ წაიკითხავთ სხვადასხვა სახის ტექსტს და უპასუხებთ შეკითხვებს იმის შესახებ, რაც წაიკითხე.

კითხვების ნაწილს მოსდევს სამი სავარაუდო პასუხი (ა., ბ. და გ.), რომელთაგან ერთადერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოთ და, შესაბამისად, შემოხაზოთ ან ა., ან ბ., ან გ. პირველი ნიმუში არის სწორედ ამ ტიპის კითხვა.

ნიმუში 1

1. რამდენი თვეა წელიწადში?

ა. 9 თვე
(ბ.) 12 თვე
გ. 13 თვე

ზოგიერთ კითხვას პასუხი წერილობით უნდა გასცეთ, რისთვისაც შეკითხვის შემდეგ სპეციალური ადგილია გამოყოფილი. მეორე ნიმუში ამ ტიპის კითხვაა.

ნიმუში 2

2. რატომ ერქვა ზღაპრის გმირს, ცეროდენას, ეს სახელი?

იმიტომ, რომ ის ტანად ძალიან პატარა იყო.

კრებულში შეგხვდებათ რამდენიმე სხვა სახის დავალებაც, რომლებსაც მითითებები თან ახლავს.

შეეცადეთ, უპასუხოთ ყველა შეკითხვას, მაგრამ თუკი რომელიმე კითხვას პასუხს ვერ გასცემთ, გადადით შემდეგზე. კითხვებზე პასუხის გაცემის დროს მიუბრუნდით და დააკვირდით ხოლმე ტექსტს.

კრებული რვა ნაწილისაგან შედგება. სასურველია, თითოეულ ნაწილზე მუშაობა 30 წუთში დაასრულოთ.

გისურვებთ წარმატებას!

I

მზის პირისნაბანი

(ხალხური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზეთუნახავი ქალი. ობოლი დარჩენილიყო და ძიძა ზრდიდა. სთხოვა ქალმა ძიძას: გამიშვი შინიდან, ბედს მინდა ვეწიოო. ძიძამაც არ დაუშალა, პირით აღმოსავლეთის მხარეს დააყენა და დაარიგა, ამ გზას გაჰყევიო.

საღამო რომ დადგა, ქალი უკვე ტრიალ მინდორზე იდგა. გაიხედ-გამოიხედა და პატარა კოშკი დაინახა. უცებ გაიღო კარი და იქიდან მშვენიერი ვაჟი გამოვიდა. ქალი ამასობაში ჩუმად შევიდა კოშკში და დაიმალა. გათენებამ მოაწია თუ არა, დაბრუნდა ვაჟი და უმალვე სარეცელზე დაწვა. გამოვიდა ქალი სამალავიდან, მიირბინა სარეცელთან და რას ხედავს, ვაჟი მკვდარია!

თურმე ეს ვაჟი უფლისწული ყოფილა. ნადირობისას მზეს მშვილდ-ისრით ბოლო, მეცხრე თვალი დაუშავა და მზემ ასე დასაჯა: დღისით მკვდარია, ღამით – ცოცხალი. ცხრა წელიწადია, რაც ამ სატანჯველშია და ადამიანი თვალით არ უნახავს.

შეიტყო თუ არა ქალმა უფლისწულისაგან ეს ამბავი, აევსო გული ტრფობით და სიბრალულით. შეჰფიცა სიყვარული ვაჟს და გადაწყვიტა, უთუოდ უნდა შევძლო მისი შველაო.

მიდის ქალი, თვეობით მიდის, წლობით მიდის, მზის ქვეყანას უნდა მიაღწიოს, მზეს უნდა გამოსთხოვოს ვაჟის მოსარჩენი წამალი!

როგორც იქნა, მივიდა მზის სასახლეში. მზე შინ არ იყო. იქ მზის დედა დაუხვდა. ისიც დედამიწის შვილი იყო. მზის დედას გაუკვირდა, აქ ჩემი შვილის შიშით ადამიანი არ მოსულა, შენ როგორ გაბედე მოსვლაო? შეეცოდა ქალი. შეჰპირდა, მე დაგეხმარებიო და დამალა.

საღამო ჟამს მოვიდა მზეც. დაღლილ-დაქანცულს ლამის ეხუჭებოდა თვალები. დედამ ვახშამი გამოუტანა და თანაც სიტყვა შეაპარა: შვილო, მეტისმეტად ხომ არ დაგისჯია ის ვაჟი, დღისით რომ მკვდარია და ღამით – ცოცხალი; ნუთუ იმისი მოსარჩენი წამალი არ არსებობსო?

– კი, წამალი როგორ არ არის, მაგრამ ვინ მიუტანსო!

– რა არის მაინცო? – იკითხა დედამ.

– ერთი წვეთი ჩემი პირისნაბანი წყლის წასმა და მისი მორჩენა ერთი იქნებაო.

მეორე დილას დედამ წყალი მიუტანა მზეს, პირი დააბანინა. პირისნაბანი იმ სურაშიც ჩაიღვარა, მზის დედას რომ იქვე დაუდგამს!

როცა მზე ადგა და ქვეყნიერებაზე გაემგზავრა, გამოიყვანა ქალი მზის დედამ, მისცა სურა და გამოისტუმრა. წავიდა ქალი, ჩიტივით გაფრინდა. წლის თავზე, გამთენიისას, კოშკს მიაღწია, წაუსვა ვაჟს მზის პირისნაბანი და გააცოცხლა. მათ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. წაიყვანა ვაჟმა ქალი თავის სამეფოში, იქორწინეს და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად.

1. ქვეყნის რომელ მხარეს არის ზღაპარში ტრიალი მინდორი?

---

2. ზღაპრის გმირებიდან რომელია აქ გამორჩენილი?

მზეთუნახავი ქალი, ვაჟი, მზე, მზის დედა, ----------.

3. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელი გამოხატავს ამ ზღაპრის მზის თავისებურებას?

ა. კაშკაშა;
ბ. მცხუნვარე;
გ. ცხრათვალა.

4. რამდენი წლის შემდეგ იხილა მზის მიერ დასჯილმა ვაჟმა ადამიანი?

---

5. ამ ზღაპრის მიხედვით, სად ცხოვრობს მზე?

ა. კოშკში;
ბ. სასახლეში;
გ. ციხესიმაგრეში.



6. რამ გააკვირვა მზის დედა?
ა. ქალის სილამაზემ;
ბ. ქალის გამბედაობამ;
გ. ქალის სისწრაფემ.

7. რატომ შეეძლო მზის დედას ადამიანისთვის გაეგო, ადამიანი შესცოდებოდა?

---

8. როგორ ფიქრობ, რატომ იყო საღამო ჟამს მზე დაღლილ-დაქანცული?

---

9. იპოვე და ამოწერე ზღაპრის ბოლო ნაწილიდან ის გამოთქმა, რომელიც გამოხატავს, რომ ქალმა სიხარულისაგან ძალიან სწრაფად იარა:

---

10. რა არის ამ ზღაპარში ყველაზე მნიშვნელოვანი?

ა. მზის განრისხება;
ბ. მზის დედის ლმობიერება;
გ. სიყვარულის ყოვლისშემძლეობა.

11. ამოწერე პირველი აბზაციდან ის სიტყვები, საიდანაც ჩანს, რომ ჩვენ ზღაპარს ვკითხულობთ:

---

12. მზეთუნახავმა ქალმა გრძელი გზა გაიარა. ზღაპრის მიხედვით გაჰყევი მის გზას და სწორად დანომრე ქვემოთ ჩამოთვლილი ადგილები!

დააკვირდი, პირველი ნომერი **უკვე მოძებნილია;** ნომრები: 2, 3, 4, 5 შენ გაანაწილე და დაწერე მოცემულ ხაზებზე:

ტრიალი მინდორი და პატარა კოშკი ----------
მზის საბრძანებელი ----------
მზეთუნახავი ქალის სახლი ----1-----
უფლისწულის სამეფო ----------
ისევ კოშკი ტრიალ მინდორზე ----------

კრწანისის ყაყაჩოები

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?

ლადო ასათიანი

რა აქვს საერთო აყვავებულ ყაყაჩოს სისხლის წვეთთან და ცეცხლის ალთან?

ძველ სამეფოს

სამეფოო ძველთაძველო,
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დაჭკნა შენი ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელო . . .

აკაკი წერეთელი

რა არის ამ ლექსში მთავარი, ძირითადი?

ა. სამშობლოს წარსულის შექება;
ბ. სამშობლოს დასნეულების გამო გულისტკივილის გამოხატვა;
გ. სამშობლოს შედარება გადამჭკნარ მდელოსთან.

II

ცასწავალა

მეტნაკლებად ყველას აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეებიც ზეცას შეჰღაღადებენ. ყველას, ყველას აქვს ზეცაში ამაღლების სურვილი, მათ შორის პატარა ცისფერთვალა ჩიტსაც, რომელსაც ცასწავალას ეძახიან.

ცასწავალა ერთი აყვავებული მთის ფერდობზე ცხოვრობდა და ცაში მაღლა აფრენის სურვილი არ ასვენებდა. ამიტომაც ერქვა ეს სახელი. ასე სჩვეოდა ხოლმე: ბალახიდან ამოფრინდებოდა, ცაში აიჭრებოდა და თან წკრიალა ხმით იძახდა: „ცას წავალ! ცას წავალ!“ ამ დროს ყველა მას შესცქეროდა: გუთნის ჩიტები, ჩხიკვები, ორბები. ყვავილებიც კი იშმუშნებოდნენ. ასე იფრენდა ერთხანს, რაღაც ზღვარს მიაღწევდა, ღონე გამოეცლებოდა, ისევ დაბლა დაეშვებოდა და ბალახებში გაუჩინარდებოდა.

ბალახებში ჩავარდნილი ახლა ამას იძახდა: „ვტყუი, ვტყუი!“ ამით თავის უღონობას მალავდა, რათა სხვებს არ გაეგოთ, რომ ცაში წასვლა არ შეეძლო. ფრთოსნებმა ითმინეს, ითმინეს და ბოლოს საწყენად მიიღეს ეს ამბავი. გადაწყვიტეს, სასამართლო მოეწყოთ ამ თავხედი ჩიტისთვის.

მიმინოებმა ცასწავალა გაკოჭეს და გორაზე შეკრებილ ფრთოსნებს მიჰგვარეს. მოსამართლე ყვავმა კითხვები მიაყარა: „ვინ გყავს ცაში? იქ ვინ გეპატიჟებოდა? ურცხვად რატომ გვატყუებ მთელი დღე?“ ცასწავალა მორჩილად ისმენდა ბრალდებას და უარყოფის ნიშნად მხოლოდ თავს აქნევდა. ბოლოს ფრთოსნებმა ცასწავალას ერთი დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ბაბუაწვერაზე თოკით მიაბეს და დაიშალნენ. მხოლოდ მოლაღური შემორჩა იმ ადგილს, კარგა ხანს იდგა დაფიქრებული, მერე ცასწავალას ფოთლები დააფარა, ღამით რომ არ გაყინულიყო და მელას არ შეეჭამა. შემდეგ თვითონაც გაფრინდა.



მეორე დღეს ისევ შეიკრიბნენ ფრთოსნები და ცასწავალა გაათავისუფლეს. იგი ჯერ უგონოდ დაეცა, ეტყობოდა, ფრთები ეტკინა. მოლაღურმა ნისკარტით წყაროს წყალი მიუტანა. ცასწავალას პირობა ჩამოართვეს, რომ აღარასოდეს აფრინდებოდა მაღლა ცაში და არ მოიტყუებდა. მაგრამ წავიდ-წამოვიდნენ თუ არა ფრთოსნები, ცასწავალამ ცოტა დაისვენა, შემდეგ ფრთები გაშალა და ცაში აიჭრა: „ცას წავალ! ცას წავალ!“ – იძახდა და მაღლა და მაღლა

მიიწევდა. გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე. ამ ამბის შემდეგ ტყეში ცასწავალა აღარავის უნახავს.

გოდერძი ჩოხელი, „ცასწავალა“
(ადაპტირებული ვარიანტი)

1. რატომ ერქვა ცისფერთვალა პატარა ჩიტს ცასწავალა?

---

2. მე-2 აბზაციდან ამოწერე ის სიტყვები, საიდანაც ჩანს, რომ ცასწავალა მაღლა ცაში ფრენით იღლებოდა:

---

3. მე-2 აბზაცში ვკითხულობთ: „გადაწყვიტეს, სასამართლო მოეწყოთ ამ თავხედი ჩიტისთვის.“ ვისი დამოკიდებულებაა აქ გამოხატული ჩიტისადმი, ანუ ვინ ფიქრობს, რომ ცასწავალა თავხედია?

ა. მოთხრობის ავტორი;
ბ. მოლაღური;
გ. ის ფრთოსნები, რომლებმაც განიზრახეს ცასწავალას გასამართლება.

4. რატომ იძახდა ცასწავალა ძირს დაშვებისას: „ვტყუი, ვტყუი!“?

ა. ამ შეძახილით მალავდა თავის უღონობას;
ბ. მართლა ტყუოდა და ამ შეძახილით თავის ტყუილს აღიარებდა;
გ. ამ შეძახილით სხვა ფრინველებს აქეზებდა.

5. რომელმა ფრინველმა დაუსვა კითხვები და დაადანაშაულა ცასწავალა?

---

6. რა ბრალდება წაუყენეს ცასწავალას ფრინველებმა სასამართლოზე?

ა. ბალახებში დამალვა;
ბ. ცაში დაწესებულ ზღვარზე მაღლა აფრენა;
გ. ფრინველების მოტყუება.

7. რატომ უნდოდა ცასწავალას მაღლა ცაში აფრენა?
ა. ფრთოსნებს თავს აწონებდა;
ბ. უბრალოდ ცაში წასვლის სურვილი ჰქონდა;
გ. ცაში სხვა ჩიტი ეპატიჟებოდა.

8. ფრინველებიდან მხოლოდ მოლაღურს შეეცოდა ცასწავალა. დაასაბუთე ეს აზრი (საიდან ჩანს ეს?):

---

9. როდის იჩენს თავს ცასწავალას დაუმორჩილებელი ხასიათი, მედგარი ბუნება?

ა. როცა ცასწავალა ცაში აიჭრება, გასცდება ზღვარს და იმ ტყეში აღარ ბრუნდება, სადაც ის გაასამართლეს;
ბ. როცა ცასწავალა ძირს დაეშვება ძახილით: ვტყუი, ვტყუი!
გ. როცა სასამრთლოზე ცასწავალა ჩუმად ისმენდა ფრთოსნების ბრალდებებს.

10. რა დამოკიდებულებას ავლენს მწერალი ამ პატარა ჩიტის მიმართ?

ა. მწერალი კიცხავს ცასწავალას, არ იწონებს მის საქციელს;
ბ. მწერალი თანაუგრძნობს ამ პატარა ჩიტს;
გ. მწერალი არ ავლენს თავის დამოკიდებულებას ცასწავალას მიმართ.

11. რა მიგვანიშნებს, რომ ცასწავალას თავგადასავალი გამოგონილი ამბავია?

ა. ჩიტს ცასწავალა ჰქვია;
ბ. ჩიტი მთის ფერდობზე ცხოვრობს;
გ. ფრინველები სასამართლოს მართავენ.

12. ამ მოთხრობის მიხედვით, რა არის მთავარი იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიო?

ა. გქონდეს ძალიან დიდი სურვილი;
ბ. იყო ფიზიკურად ძალიან ძლიერი;
გ. მოპოვებული გქონდეს შენს გარშემო მყოფთა მხარდაჭერა.

13. შენ როგორ ფიქრობ, საერთოდ რა არის მთავარი დასახული მიზნის მისაღწევად?

III
ძმანი ხერხეულიძენი



თბილისის სამხრეთით მდებარეობს მოზრდილი სოფელი მარაბდა. სამასი წლის წინათ ამ სოფელში ცხოვრობდა მოხუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. მამა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი; ცოლად ჰყავდა ყოვლად ღირსეული ქართველი მანდილოსანი. ამის გამო ძმები ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები და მამულიშვილები დადგნენ.

იმჟამად სპარსეთში მეფობდა შაჰ-აბაზი, მეტად დაუნდობელი მეომარი. მას ჰყავდა მრავალრიცხოვანი ჯარი, გაწვრთნილი და გამოცდილი ლაშქრობაში. შაჰ-აბაზმა დაიპყრო ბევრი ქვეყანა და ბოლოს საქართველოშიც შემოიჭრა. ქართველთა ჯარი მას გადაეღობა გზაზე თბილისს ქვევით, მარაბდის სამხრეთით. გაიმართა საშინელი ბრძოლა. სამი დღის განმავლობაში სისხლი განუწყვეტელ

ნაკადულებად მიდიოდა. თუმცა სპარსელები ერთიათად მეტნი იყვნენ, მაგრამ მათ სამი დღის განმავლობაში ქართველთა ჯარს ფეხი ვერ მოაცვლევინეს, რადგანაც ქართველი მეომრები თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად. მეტადრე საოცარ უშიშრობას, სამაგალითო ვაჟკაცობას და საარაკო თავდადებულობას იჩენდნენ ძმანი ხერხეულიძენი, რომელნიც ერთად, მხარდამხარ ებრძოდნენ მტერს. მათ არაერთი იერიში სპარსელებისა უკუაქციეს, არაერთხელ აქცევინეს ზურგი მტერს.

მეოთხე დღეს სპარსელებს ახალი ჯარი მოეშველა და დაღალულ-დაქანცულმა ქართველთა ლაშქარმა ვეღარ შეაკავა მტერი. ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამცთუ არ შედრკნენ, არამედ ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავგანწირვით იბრძოდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ყველანი. რადგანაც ქართველთა ჯარმა ვერ გაიმარჯვა, თავდადებულნი ძმანი ზედ შეაკვდნენ მტერს და თავიანთი გმირული სული დალიეს ბრძოლის ველზე.

ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა მათ და როცა ერთ მის ვაჟს, სასიკვდილოდ დაჭრილს, ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, იგი დედამ აიღო და მეორე შვილს მისცა ხელში.

მადლიერმა ქართველებმა ცხრა ძმა ბრძოლის ველზე იპოვნეს, დიდი მოწიწებით დამარხეს მწკრივად და დაადეს ცხრა დიდი საფლავის ქვა, რომლებიც დღემდე არის დაცული.

იაკობ გოგებაშვილი

1. სად მდებარეობს სოფელი მარაბდა?

---

2. მწერლის აზრით, რატომ დადგნენ ძმები ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები და მამულიშვილები?

---

3. ამოწერე მოთხრობიდან ის სიტყვები, საიდანაც ჩანს მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება შაჰ-აბაზის მიმართ:

---

4. სად შეება ერთმანეთს ქართველთა და სპარსელთა ლაშქარი?

---

5. სამი დღის განმავლობაში ქართველებსა და სპარსელებს შორის საშინელი ბრძოლა მიმდინარეობდა. იპოვე და ამოწერე ის წინადადება, საიდანაც ჩანს, რომ ბრძოლაში ბევრი მეომარი დაიჭრა და დაიღუპა:

---

6. რა მოხდა ბრძოლის დაწყებიდან მეოთხე დღეს ისეთი, რომ ქართველთა ლაშქარმა ვეღარ შეაკავა მტერი?

---

7. რას შეადარა მწერალმა თავგანწირვით მებრძოლი ძმები?

---

8. რა გადაწყეტილებით, როგორი სულისკვეთებით ჩაებნენ ძმები მეოთხე დღეს გამართულ ბრძოლაში?

---

9. მოთხრობიდან ვიგებთ, რომ ქართველებმა ცხრა ძმა ბრძოლის ველზე იპოვეს, დამარხეს და საფლავის ქვები დაადეს. რა გრძნობა გამოხატეს ამით ქართველებმა ძმების მიმართ?

---

10. რა არის ამ მოთხრობაში მთავარი, ძირითადი?

ა. შაჰ-აბაზის დაუნდობლობის ჩვენება;
ბ. ცხრა ძმა ხერხეულიძის გმირობის გადმოცემა;
გ. ხერხეულიძეთა ოჯახის აღწერა.

11. რატომ იბრძოდნენ ძმები ხერხეულიძეები მტრის წინააღმდეგ თავგანწირვით?

ა. იმიტომ, რომ ისინი მხურვალე მამულიშვილები იყვნენ და არ უნდოდათ, სამშობლო მტრისთვის დაეთმოთ;
ბ. იმიტომ, რომ სახელოვანი ვაჟკაცის სახელი არ დაეთმოთ;
გ. იმიტომ, რომ ხერხეულიძეები მეფისგან ჯილდოსა და დაწინაურებას ელოდნენ.

12. მწერალმა ეს მოთხრობა დაწერა მე-20 საუკუნის დასაწყისში. რომელ საუკუნეში მოხდა ამ მოთხრობაში აღწერილი ამბავი?

IV

შემთხვევით მოსმენილი საუბარი

პაპა და შვილიშვილი სკოლიდან შინ ბრუნდებოდნენ. გზა მეც იქით მქონდა და უნებურად მესმოდა მათი საუბარი.

გოგონა შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, პაპა კი, ვინ იცის, რამდენის.

- მიამბე, რა მოხდა დღეს საინტერესო სკოლაში? – სთხოვა პაპამ.

- არაფერი, – უპასუხა გოგომ.

- სულ არაფერი?

გოგო დაფიქრდა.

- ორმა გოგომ იჩხუბა. ერთმა უთხრა მეორეს, შენი არ მჯერა, ცნობილი მატყუარა ხარო. სულ თმები დააწიწკნეს ერთმანეთს!

- ოოო! ეს უკვე ხუმრობა არ არის! სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო, ამაზეა ნათქვამი.

გოგოს გაეცინა.

- როგორ შეიძლება სახელის გატეხა, ფინჯანი ხომ არ არის?!

- შეიძლება და მერე როგორ! გატეხილი თავი ისევ გამთელდება, ფინჯანიც დაწებდება, აი, სახელი კი...

- რას ნიშნავს გატეხილი სახელი? – ჩააცივდა გოგო.

- შერცხვენილ სახელს ნიშნავს, შელახულსაც ეძახის ზოგი. – აუხსნა პაპამ, – აი, მაგალითად, ერთი კაცი დაჰპირდა მეორეს, მიდი და მოვდივარო.

- სად მიდიო?

- სულერთია, რამე ძნელ საქმეზე, ვთქვათ, ხანძრის ჩასაქრობად. ჰოდა, არ გაჰყვა, სიტყვა გატეხა და მიატოვა გზაში.

- სიტყვაც შეიძლება გატყდეს? – გაუკვირდა გოგოს.

- მააშ! სიტყვის გატეხას მოსდევს ხოლმე სახელის გატეხა, – განაგრძო პაპამ ჭკუის დარიგება, – ამიტომ თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე ორივეს!

გოგო დაფიქრდა და უცნაური რამ თქვა:

- შეხედე, რა ეშმაკები ყოფილან ფრანგები!

- ვინ ფრანგები? – ვერ მიუხვდა პაპა.

- ერთი ბიჭი სწავლობს ჩვენთან მესამე კლასში, ფრანგია, გვარად მუჟე. დედა ქართველი ჰყავს. და იცი, რა ჰქვია? ალენ ლევან გიგი.

- ჰოო, მაგათ ეგრე იციან, რამდენიმე სახელს ატარებენ. დიდი მეცნიერი ჰყავდათ ერთი, გვარად ლამარკი, სახელად კი ჟან ბატისტ პიერ ანტუან დე მონე.

- აუუუ! – შეიცხადა გოგომ და ეშმაკური ღიმილით დააყოლა, – მივხვდი რატომაც! ერთი გაუტყდებათ – მეორე დარჩებათ, მეორე გაუტყდებათ – მესამე.

- არა, არა! – გაეცინა პაპას, ეს ეშმაკობა ვერ უშველით! ერთი თუ გატყდა, თავისთავად დაიმსხვრევა დანარჩენიც!

- გავიგე, მესმის, – დიდი ქალივით დაეთანხმა გოგო, – ეს ისე ვოქვი, ხუმრობით. ვეცდები არასდროს გამიტყდეს ჩემი ერთადერთი სახელი. – და ისევ ეშმაკურად გაიღიმა.

„ნეტავ რა ჰქვია?“ – გავიფიქრე მე.

პაპამ თავზე ხელი გადაუსვა და ერთად შევიდნენ პატარა ლამაზ ეზოში.

რატომღაც მისამართი დავიმახსოვრე და ვინატრე: „ნეტავ ბევრი იყოს ჩვენს ქალაქში ასეთი ეზოები“.

დავით ჯავახიშვილი

1. სად მოისმინა მწერალმა პაპისა და შვილიშვილის საუბარი?

ა. სკოლაში;
ბ. ქუჩაში;
გ. ეზოში.

2. ვინ ამბობს მოთხრობაში ამ სიტყვებს: „ოოო! ეს უკვე ხუმრობა არ არის!“

ა. გოგონა;
ბ. მოთხრობის ავტორი, რომელიც საუბარს ისმენს;
გ. პაპა.

3. ვინ ამბობს ამ სიტყვებს: „სად მიდიო?“

ა. გოგონა;
ბ. მოთხრობის ავტორი, რომელიც საუბარს ისმენს;
გ. პაპა.

4. პაპის განმარტებით, რას ნიშნავს გატეხილი სახელი?

---

5. ამ მოთხრობაში გამოყენებულია ანდაზა. იპოვე და ამოწერე:

---

6. პაპა ამბობს: „თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე ორივესო“. რა და რა იგულისხმა მან?

ა) ----------

ბ) ----------

7. დაფიქრდი, რატომ ამბობს გოგო: „რა ეშმაკები ყოფილან ფრანგები!“

---

8. რატომ არის მოთხრობაში მოხსენიებული ლამარკი?

ა. იმიტომ, რომ ლამარკი მეცნიერი იყო;
ბ. იმიტომ, რომ ის სახელგანთქმული პიროვნება იყო;
გ. იმიტომ, რომ მას რამდენიმე სახელი ჰქონდა.

9. რატომ იღიმება გოგო ეშმაკურად პაპასთან საუბრის დროს?

ა. პაპის ნათქვამს სასაცილოდ იგდებს;
ბ. პაპასთან სახალისო და საინტერესო საუბრის გაბმა შეძლო;
გ. მოჩხუბარი გოგონები ახსენდება.

10. იპოვე და ამოწერე მოთხრობიდან ის წინადადება, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მწერალს მოსწონს პაპა და შვილიშვილი:

---

11. მოთხრობის მიხედვით, პაპა და შვილიშვილი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან. საიდან ვიგებთ ამას?

ა. მწერალი ამბობს, რომ პაპა და შვილიშვილი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან;
ბ. პაპისა და შვილიშვილის საუბრიდან ჩანს, რომ ისინი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან;
გ. პაპისა და შვილიშვილის საქციელიდან ჩანს, რომ ისინი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან.

12. როგორია ეს მოთხრობა?

ა. ხალისიანი და გასართობი;
ბ. ხალისიანი და დამაფიქრებელი;
გ. ძალიან სევდიანი და დამაფიქრებელი.

V

ზოგჯერ ცის თაღზე ჩნდება უცნაური კუდიანი ვარსკვლავები, რომლებსაც ასტრონომები კომეტებს უწოდებენ. ძველად კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენა თავზარს სცემდა ადამიანებს. მიიჩნევდნენ, რომ თუ ცაზე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა, უბედურება იყო მოსალოდნელი.

ახლა კუდიანი ვარსკვლავების აღარავის ეშინია. პირიქით, ასტრონომები მოუთმენლად ელიან მათ გამოჩენას, რათა მოასწრონ და ტელესკოპით დააკვირდნენ ამ საკვირველ მოვლენას. კომეტები ხომ მზის სისტემის ხანმოკლე სტუმრები არიან. ქართველი მეცნიერები კომეტებსა და სხვა ციურ სხეულებს აბასთუმნის ობსერვატორიაში აკვირდებიან და შეისწავლიან.

კომეტების შესწავლის შედეგად მეცნიერებმა მათი შედგენილობაც გაარკვიეს: კომეტის ბირთვი ყინულის, კოსმოსური მტვრისა და კლდის ნამტვრევების უზარმაზარ ბურთს წარმოადგენს, ხოლო მისი კუდი აირებისა და მტვრისაგან შედგება.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 65 მილიონი წლის წინ დინოზავრების გადაშენების მიზეზი დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა იყო.

1. რას უწოდებენ ასტრონომები კუდიან ვარსკვლავებს?

---

2. რას უკავშირებდნენ ძველად ადამიანები ცაზე კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენას?

---

3. რატომ უნდა იჩქარონ და მოასწრონ ასტრონომებმა კომეტის ცაზე გამოჩენისთანავე მასზე დაკვირვება?

---

4. რისი საშუალებით აკვირდებიან ქართველი მეცნიერები აბასთუმნის ობსერვატორიაში კომეტებს?

---

5. ვინ ფიქრობს, რომ დინოზავრების გადაშენების მიზეზი დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა უნდა ყოფილიყო?

ა. ზოგი მეცნიერი;

ბ. მეცნიერთა უმეტესობა;

გ. ყველა მეცნიერი.

6. დინოზავრების გადაშენების მიზეზი ნამდვილად დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა იყო?

ა. არა;
ბ. დიახ;
გ. შესაძლოა.

7. როგორია კომეტის ბირთვის შედგენილობა?

კომეტის ბირთვი შედგება:

ა. აირების, კოსმოსური მტვრისა და ყინულისაგან;
ბ. კლდის ნამტვრევების, კოსმოსური მტვრისა და ყინულისაგან;
გ. კლდის ნამტვრევების, კოსმოსური მტვრისა და აირებისაგან.

8. რა არის ამ ტექსტის ძირითადი შინაარსი?

ა. ასტრონომების საქმიანობის აღწერა;
ბ. დინოზავრების გადაშენების ამბავი;
გ. ცნობები კომეტების შესახებ.

9. რა არის აღწერილი ამ ტექსტში?

ა. ბუნების მოვლენა;
ბ. ისტორიული ამბავი;
გ. ზღაპრული ამბავი.

ინდიელები – საერთო სახელწოდება ტომებისა, რომლებიც შეადგენენ ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას. ამჟამად შემორჩენილნი არიან ამერიკის კონტინენტის ზოგიერთ ნაწილში. სახელწოდება გაჩნდა კოლუმბის შეცდომის შედეგად, რომელიც ფიქრობდა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა იყო ინდოეთი.

1. ვის უწოდებენ ინდიელებს?

---

2. რატომ უწოდა კოლუმბმა მის მიერ აღმოჩენილ კონტინენტზე მცხოვრებ ხალხს ინდიელები?

ა. იმიტომ, რომ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა იყო ამერიკა.
ბ. იმიტომ, რომ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა იყო ინდოეთი.
გ. იმიტომ, რომ კოლუმბს მის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა ეგონა ინდოეთი.

3. სად ცხოვრობენ ამჟამად ინდიელები?

---

4. იცოდა თუ არა კოლუმბმა, რომ მან აღმოაჩინა მანამდე უცნობი კონტინენტი ამერიკა?

ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები.

1. ერთხელ ის ალექსანდრე მაკედონელმა დაინახა, მასთან მივიდა და უთხრა:
2. ღამით კი შიგ შეძვრებოდა და იქ იძინებდა.
3. მზეს მიფიცხებულმა დიოგენემ უპასუხა: „მზეს ნუ მიჩრდილავ, სამი ნაბიჯით უკან დაიხიე!“
4. დღისით იგი კასრიდან ამოდიოდა ხოლმე და მზეზე თბებოდა.
5. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე კასრში ცხოვრობდა.
6. „მითხარი, დიოგენე, რა გინდა და ყველა სურვილს აგისრულებ.“

ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოგივიდეს მოთხრობა ბერძენი ფილოსოფოსის დიოგენეს შესახებ.

---

* * *

ეს ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კრებულის სარჩევია:

სარჩევი

შვლის ნუკრის ნაამბობი..... 5
შთაბეჭდილებანი 14
პატარა მწყემსის ფიქრები 23
ია 28
დარეჯანი 31
კურდღელი 46
მთის წყარო 50

რას ნიშნავს:

ია 28

ა. მოთხრობა „ია“ 28 გვერდს მოიცავს;
ბ. მოთხრობა „ია“ იწყება 28-ე გვერდზე;
გ. მოთხრობა „ია“ მთავრდება 28-ე გვერდზე.

VI

1492 წლის 3 აგვისტოს ქრისტეფორე კოლუმბმა სამი ხომალდით დატოვა ესპანეთი და ატლანტის ოკეანეში დასავლეთის მიმართულებით გაცურა. მისი ექსპედიციის მიზანი ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენა იყო.

გადიოდა დრო, მაგრამ ინდოეთის სანაპირო არ ჩანდა. კოლუმბის მეზღვაურები შიშმა შეიპყრო, ბევრი მათგანი ავად გახდა. ისინი უკან, ევროპის კონტინენტზე დაბრუნებას ითხოვდნენ, მაგრამ კოლუმბი არ შედრკა. ბოლოს, 1492 წლის 12 ოქტომბერს, ერთ-ერთი ხომალდის გემბანზე გაისმა შეძახილი: „მიწა!“. ორ თვეზე მეტი ხნის მოგზაურობის შემდეგ კოლუმბი მიადგა ახალ კონტინენტს, ამერიკას.

კოლუმბსა და მის მეზღვაურებს ახალ მიწაზე მკვიდრი მოსახლეობა დახვდათ. რადგან კოლუმბი ფიქრობდა, რომ იგი ინდოეთში ჩავიდა, მან ადგილობრივ მოსახლეობას ინდიელები უწოდა.

ახალი მიწის აღმომჩენებმა ამერიკიდან ევროპაში შემოიტანეს ევროპელთათვის მანამდე უცნობი მცენარეები: კარტოფილი, პამიდორი, სიმინდი, ანანასი და კაკაო.

1. რა იყო კოლუმბის მოგზაურობის მიზანი?

ა. ამერიკის აღმოჩენა;
ბ. ინდოეთისაკენ მიმავალი გზის აღმოჩენა;
გ. უცხო ქვეყნის მონახულება.

2. რამდენ ხანს გრძელდებოდა კოლუმბის მოგზაურობა?

ა. ოთხი კვირა;
ბ. ორი კვირა;
გ. სამოცდათერთმეტი დღე.

3. რომელი ქვეყნიდან გაცურა კოლუმბმა?

---

4. რომელი ოკეანე გადაცურა კოლუმბმა?

---

5. რომელი კონტინენტიდან გაცურა კოლუმბმა?

---

6. იცოდა თუ არა კოლუმბმა, რომ მან ამერიკა აღმოაჩინა?

---

7. რატომ უწოდა კოლუმბმა ახლადაღმოჩენილი მიწის ადგილობრივ მოსახლეობას ინდიელები?

---

8. რომელი მცენარეები შემოვიდა ამერიკიდან ევროპაში?

ა. ანანასი, კაკაო, კარტოფილი, კომბოსტო, პამიდორი;
ბ. კარტოფილი, კაკაო, ანანასი, პამიდორი, ბანანი;
გ. პამიდორი, ანანასი, კაკაო, სიმინდი, კარტოფილი.

9. რა არის ამ ტექსტის მთავარი თემა?

ა. ამერიკიდან ევროპაში მცენარეების შემოტანის ამბავი;
ბ. ამერიკის აღმოჩენის ამბავი;
გ. კოლუმბის ხომალდებზე მეზღვაურთა ამბოხის ამბავი.

10. რა არის აღწერილი ამ ტექსტში?

ა. ბუნების მოვლენა;
ბ. ისტორიული ამბავი;
გ. ზღაპრული ამბავი.

ლილიპუტი – უჩვეულოდ პატარა ტანის ადამიანი. მისი ქართული შესატყვისია: ქონდრისკაცი, ჯუჯა. პატარა ტანის ადამიანს ლილიპუტი ეწოდა ფანტასტიკური ქვეყნის, ლილიპუტიის ერთი ციცქნა მცხოვრებლების სახელწოდების მიხედვით, რომელთა შესახებ მოთხრობილია ჯ. სვიფტის რომანში „გულივერის მოგზაურობა“.

უცხო სიტყვათა საბავშვო ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1999.

---

1. ამოწერე ტექსტიდან ლილიპუტის ერთ-ერთი ქართული შესატყვისი?

---

2. რატომ ეწოდა ლილიპუტი პატარა ტანის ადამიანს „გულივერის მოგზაურობის“ მიხედვით?

ა. მიტომ, რომ ამ რომანში აღწერილ ქვეყანაში მცხოვრებ ციცქნა ადამიანებს ლილიპუტები ერქვათ;
ბ. იმიტომ, რომ ლილიპუტია ფანტასტიკური ქვეყანაა;
გ. იმიტომ, რომ სვიფტმა თავის რომანში აღწერა ლილიპუტია.

---

3. რა ერქვა სვიფტს?
ა. სტივენი;
ბ. ტომასი;
გ. ჯონათანი.

---

4. როგორი ქვეყანაა ლილიპუტია?

ა. ამჟამად არსებული;
ბ. გამოგონილი;
გ. ძველად არსებული და ახლა გამქრალი.

---

5. რა არის ამ ტექსტის დანიშნულება?

ა. სვიფტის რომანის შინაარსის გადმოცემა;
ბ. უცხო სიტყვის „ლილიპუტის“ განმარტება;
გ. ქონდრისკაცის გარეგნობის აღწერა.

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი:

სამი წლისა იგი კლავისინზე უკრავდა, ხოლო ოთხი წლის ასაკში უკვე მუსიკას თხზავდა. ექვსი წლის მოცარტი კონცერტებს მართავდა ვენასა და მიუნხენში, ხოლო ოცდაერთი წლისა უკვე სონატებს და ოპერებს ქმნიდა.

ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელი შეეფერება ამ ტექსტს დასაწყისად?

ა. ავსტრია მრავალი გამოჩენილი კომპოზიტორის სამშობლოა.

ბ. XVIII საუკუნის არაერთ ცნობილ კომპოზიტორს, როგორებიც იყვნენ მოცარტი, ჰაიდნი, ბეთჰოვენი, მუსიკალური ნიჭი ბავშვობაში აღმოაჩნდა.

გ. ცნობილ ავსტრიელ კომპოზიტორს, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს მუსიკალური ნიჭი ბავშვობაში აღმოაჩნდა.



VII

მრავალი მილიონი წლის წინათ დედამიწაზე ცხოვრობდნენ უზარმაზარი ცხოველები, რომლებსაც მეცნიერები დინოზავრებს უწოდებენ. „დინოზავრი“ ძველი ბერძნული ენის სიტყვებისგან შედგენილი სახელია და „საშინელ ხვლიკს“ ნიშნავს. არსებობდნენ მრავალი სახეობის დინოზავრები, რომლებსაც მეცნიერებმა სხვადასხვა სახელი შეარქვეს. მაგალითად, სტეგოზავრი „ჯავშნიანი ხვლიკია“, ბაროზავრი – „მძიმე ხვლიკი“. უზარმაზარ დინოზავრს, რომლის სიგრძე ცხრა მეტრი, ხოლო წონა ათასი კილოგრამი იყო, მეცნიერებმა მეგალოზავრი - „უზარმაზარი ხვლიკი“ უწოდეს.

დინოზავრების ერთი ნაწილი მცენარეებით იკვებებოდა, მაგალითად, ბაროზავრი და სტეგოზავრი. მათ გრძელი ტანი და მაღალი ყელი ჰქონდათ, რათა ხის ფოთლებს ადვილად მისწვდომოდნენ. დინოზავრების ნაწილი კი ნადირობდა და სხვა ცხოველის ხორცს ჭამდა. მათ ბასრი კბილები და ბრჭყალები ჰქონდათ. ასეთი იყო, მაგალითად, მეგალოზავრი.

დროთა ვითარებაში დინოზავრები გადაშენდნენ და მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილი ძვლებისა და მათი გაქვავებული ნაფეხურების მიხედვით უხდებათ მეცნიერებს ამ ცხოველის შესწავლა. დინოზავრების ნაფეხურები დედამიწის სხვადასხვა კუთხეშია აღმოჩენილი, მათ შორის საქართველოში, ქუთაისის მახლობლად, სათაფლიაში.

1. როდის ცხოვრობდნენ დედამიწაზე დინოზავრები?

---

2. რას ნიშნავს სიტყვა „დინოზავრი“ ძველ ბერძნულ ენაზე?

ა. დიდ ხვლიკს;
ბ. საშინელ ხვლიკს;
გ. ჯავშნიან ხვლიკს.

3. რომელი დინოზავრის სიგრძე იყო ცხრა მეტრი და წონა – ათასი კილოგრამი?

---

4. გარდა სტეგოზავრისა, კიდევ რომელი დინოზავრი იკვებებოდა მცენარეებით?

---

5. რატომ ჰქონდა ზოგიერთ დინოზავრს გრძელი ტანი და მაღალი ყელი?



---

6. რატომ განუვითარდა ზოგიერთ დინოზავრს ბასრი ბრჭყალები და კბილები?

---

7. რის მიხედვით შეისწავლიან მეცნიერები დინოზავრებს?

---

8. საქართველოში სად არის აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი?

---

9. რა არის ამ ტექსტის მთავარი შინაარსი?

ა. დინოზავრის ნაფეხურების აღმოჩენა;
ბ. ცნობები დინოზავრების შესახებ;
გ. სიტყვა „დინოზავრის“ განმარტება.



გიგანტი – ძალიან დიდი ტანის, უზარმაზარი ადამიანი ან ცხოველი [ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟების, გიგანტების სახელის მიხედვით, რომლებიც განსაკუთრებული სიდიდით გამოირჩეოდნენ].

1. რას უწოდებენ ძალიან დიდი ტანის ადამიანს ან ცხოველს?

---

2. რის მიხედვით ეწოდა გიგანტი უზარმაზარ ადამიანს?

ა. ქართული მითოლოგიის პერსონაჟების სახელის მიხედვით;
ბ. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟების სახელის მიხედვით;
გ. ბიბლიური პერსონაჟების სახელის მიხედვით.

3. რატომ ეწოდა გიგანტი დიდი ტანის ადამიანს თუ ცხოველს?

ა. იმიტომ, რომ ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟები, რომლებსაც გიგანტები ერქვათ, განსაკუთრებული სიდიდით გამოირჩეოდნენ;
ბ. იმიტომ, რომ ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟები, რომლებსაც გიგანტები ერქვათ, განსაკუთრებული ძალით გამოირჩეოდნენ;
გ. იმიტომ, რომ უზარმაზარი გიგანტები ბერძული მითოლოგიის პერსონაჟები არიან.

4. რა არის ამ ტექსტის დანიშნულება?

ა. უცხო სიტყვის, „გიგანტის“ განმარტება;
ბ. ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟების, გიგანტების აღწერა;
გ. ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟების, გიგანტების ამბის გადმოცემა.

ეს წიგნის ყდაა:

14. ვინ არის ამ წიგნის ავტორი?

---

15. რამდენი ნაწარმოებია ამ წიგნში?

ა. ერთი;

ბ. ორი;

გ. ბევრი.

16. რას ნიშნავს ყდის ქვედა ნაწილში დაწერილი:

თბილისი

1 9 9 3

ა. 1993 წელს თბილისში გამოიცა ეს წიგნი;

ბ. 1993 წელს თბილისში ითარგმნა ეს წიგნი;

გ. 1993 წელს თბილისში დაიწერა ეს წიგნი.

გამოიცანი, სად რას ნახავ?

მოცემული ნიმუშის მიხედვით ისრებით გამოსახე შენი პასუხები.



სად?

_____

1. ☐ ჩოგანი, ჩანთა, მაისური

2. ☐ ძველი საბრძოლო იარაღის გამოფენა

3. ☐ მხატვრული ფილმი „კონკია“

4. ☐ რვეულები, წიგნები, სასწავლო ნივთები

მუზეუმში

კინოთეატრში

თეატრში

ბიბლიოთეკაში

მაღაზიაში

5. ☐ სპექტაკლი „ნაცარქექია“

6. ☐ 1995-1998 წლებში გამოცემული საბავშვო ჟურნალები

7. ☐ გამოჩენილი ადამიანების პირადი ნივთები

VIII

ოლიმპიური თამაშები საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებებია, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. თამაშებზე თავს იყრიან მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის ოცზე მეტ სახეობაში. გამარჯვებული სპორტსმენი ოქროს მედალს იღებს, მეორე ადგილზე გასული ვერცხლის მედლით ჯილდოვდება, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი – ბრინჯაოს მედლით.

ოლიმპიურ თამაშებს უძველესი ისტორია აქვს. პირველი ოლიმპიური თამაშები ძვ. წ. 776 წელს ჩატარდა საბერძნეთში. თამაშები უკავშირდებოდა ბერძენთა უზენაესი ღვთაების, ზევსის დღესასწაულს, რომელიც ოლიმპიაში იმართებოდა ხოლმე. ამ დროს საბერძნეთის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სირბილში, ბადროს ტყორცნაში, ხტომაში და ა. შ. გამარჯვებულს ძველი ბერძნები ზეთისხილის შტოებისგან დამზადებული გვირგვინით აჯილდოებდნენ. თამაშები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა 1170 წლის განმავლობაში. შემდეგ ეს სპორტული შეჯიბრება მიივიწყეს და მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს, 1894 წელს გაჩნდა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა. 1896 წელს კი ათენში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრება.

2004 წელს საბერძნეთში, ქალაქ ათენში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა სპორტსმენებმა, ძალოსანმა გიორგი ასანიძემ და ძიუდოისტმა ზურაბ ზვიადაურმა ოქროს მედლები მოიპოვეს.[1]

---

[1] ტექსტის ეს მონაკვეთი შეცვლილია. 2003 წლის შეფასების ტესტში ეწერა: „ბოლო ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 2000 წელს ავსტრალიაში, ქალაქ სიდნეიში. ქართველმა ძალოსანმა გიორგი ასანიძემ ამ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.“

1.

2. ოქროსა და ვერცხლის მედლებთან ერთად კიდევ რა მედალია დაწესებული ჯილდოდ ოლიმპიურ თამაშებზე?

---

2. ვინ მონაწილეობდა ძველ საბერძნეთში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში?

ა. ბერძენი და მეზობელი ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდები;
ბ. საბერძნეთის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი ახალგაზრდები;
გ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

3. ძველ საბერძნეთში რითი აჯილდოებდნენ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულს?

---

4. რომელ წელს ჩაატარეს პირველი საერთაშორისო ოლიმპიური თამაშები?

ა. 1894 წელს;
ბ. 1896 წელს;
გ. 2004 წელს.



5. სად მდებარეობს ქალაქი ათენი?

---

6. რომელი ადგილი დაიკავა ქართველმა სპორტსმენმა გიორგი ასანიძემ ძალოსანთა შეჯიბრში?

---

7. რა არის მთავარი, ძირითადი ამ ტექსტში?

ა. ბერძენთა უზენაესი ღვთაების, ზევსისადმი მიძღვნილი დღესასწაულის აღწერა;
ბ. ოლიმპიური თამაშების ისტორიის გადმოცემა;
გ. ცნობები ქალაქ სიდნეიში გამართული ოლიმპიური თამაშების შესახებ.

გოლიათი – ვეებერთელა, ბუმბერაზი, უზარმაზარი კაცი [ბიბლიური გმირის, გოლიათის სახელის მიხედვით, რომელიც განსაკუთრებული სიდიდით და ძალით გამოირჩეოდა].

1. რას უწოდებენ ბუმბერაზ, უზარმაზარ ადამიანს?

---

2. რის მიხედვით ეწოდა გოლიათი უზარმაზარ ადამიანს?

ა. ბერძნული მითოლოგიის გმირის სახელის მიხედვით;
ბ. ბიბლიური გმირის სახელის მიხედვით;
გ. ქართული მითოლოგიის გმირის სახელის მიხედვით.

3. რატომ ეწოდა გოლიათი უზარმაზარ, ბუმბერაზ ადამიანს?

ა. იმიტომ, რომ გოლიათი მოხერხებული კაცი იყო;
ბ. იმიტომ, რომ ბუმბერაზი გოლიათი ბიბლიური გმირი იყო;
გ. იმიტომ, რომ ბიბლიური გმირი, რომელსაც გოლიათი ერქვა, უზარმაზარი, ძლიერი კაცი იყო.

4. რა არის ამ ტექსტის ძირითადი დანიშნულება?

ა. უცხო სიტყვის, „გოლიათის“ განმარტება;
ბ. ბიბლიური გმირის, გოლიათის გარეგნობის აღწერა;
გ. ბიბლიური გოლიათის ამბის გადმოცემა.

ამოცანა

1937 წელს იტალიელმა მეთევზეებმა დაიჭირეს თითქმის 100 კგ წონის უზარმაზარი წყლის კუ. მას ბაკანზე ამოტვიფრული ჰქონდა წარწერა: „ჩემი კუ, ტოტო, ზღვაში 1922 წელს ჩავუშვი. ახლა ის 52 კგ-ს იწონის, მისი სიგრძე 90 სმ-ია, უყვარს თევზეული.“ რამდენი წელი დაჰყო კუმ ზღვაში? რამდენი კილოგრამი მოიმატა ზღვაში ყოფნისას?

ზ. ვახანია, მათემატიკა, IV კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 2002.

1. რამდენ კილოგრამს იწონიდა კუ ტოტო ზღვაში დაბინავებამდე?

ა. 52 კილოგრამს;
ბ. 90 კილოგრამს;
გ. 100 კილოგრამს.

2. როდის ჩაუშვა პატრონმა კუ ტოტო ზღვაში?

---

3. რამდენი შეკითხვაა დასმული ამ ამოცანაში?

ა. ერთი;
ბ. ორი;
გ. სამი.

4. შენი აზრით, რატომ ჩაუშვა პატრონმა კუ ტოტო ზღვაში?

წარმოიდგინე, რომ მოგცეს წიგნები და დაგავალეს, უჯრებში **სწორად** გაანაწილო. ჯერ ყურადღებით წაიკითხე, რა აწერია უჯრებს! შემდეგ კარგად დააკვირდი წიგნებს და მოცემულ ერთ ნიმუშს! **ისრებით მიანიშნე, რომელი წიგნი რომელ უჯრაში უნდა ჩაიდოს!**

1.

4.

ქართული
პოეზია

2.

ქართული ზღაპრები და
მოთხრობები

5.

ქართულ ენაზე
ნათარგმნი ზღაპრები
და მოთხრობები

3.

ალბომები

6.



სასკოლო
სახელმძღვანელოები

შეფასების სქემები

I. მზის პირისნაბანი

1. (79) აღმოსავლეთის მხარეს ----------1 ქულა.
2. (37) ძიძა ----------1.
3. (57) გ. ----------1.
4. (60) ცხრა წლის შემდეგ ----------1.
5. (74) ბ. ----------1.
6. (84) ბ. ----------1.
7. (30) იმიტომ, რომ თვითონაც დედამიწის შვილი იყო (*სწორად ჩაითვლება სხვა სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი*) ----------1.
8. (51) მზემ მთელი დღე ცაზე იმოგზაურა/ მზემ ქვეყნიერება მოიარა/ მზე მთელი დღე ცაზე ანათებდა (*სწორად ჩაითვლება სხვა სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი*)---------- 1.
9. (56) ჩიტივით გაფრინდა ----------1.
10. (65) გ. ----------1.
11. (75) იყო და არა იყო რა / იყო ერთი მზეთუნახავი ქალი / მზეთუნახავი ---------- ----------1.
12. (15) 2, 3, 1, 5, 4 ----------1.

კრწანისის ყაყაჩოები

1. (40) წითელი ფერი / ფერი ----------1.

ძველ სამეფოს

1. (45) ბ. ----------1.

II. ცასწავლა

1. (70) იმიტომ, რომ ცაში მაღლა აფრენის სურვილი არ ასვენებდა (*სწორად ჩაითვლება სხვა სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი*) ----------1.
2. (52) ღონე გამოეცლებოდა/ ძირს ეშვებოდა ----------1.
3. (68) გ. ---------- 1.
4. (66) ა. ---------- 1.
5. (72) ყვავმა ---------- 1.

6. (47) გ. ---------- 1.

7. (69) ბ. ---------- 1.

8. (59) ფოთლები დააფარა / წყალი მიუტანა (*ამ ორი არგუმენტიდან საკმარისია ერთ-ერთი*) ----------1.

9. (57) ა. ---------- 1.

10. (38) ბ. ---------- 1.

11. (46) გ. ---------- 1.

12. (35) ა. ---------- 1.

13. (42)*სწორ პასუხად ჩაითვლება ლოგიკურად ჩამოყალიბებული აზრი (მოსწავლის აზრი შესაძლოა დაემთხვეს მე-12 კითხვის პასუხებში მოცემულ ერთ-ერთ მოსაზრებასაც)* ----------1.

III. ძმანი ხერხეულიძენი

1.(87) თბილისის სამხრეთით ---------- 1.

2. (65) ხერხეულიძეებს ჰყავდათ ღირსეული მშობლები/ დედა / მამა--1.

3. (63) მეტად დაუნდობელი მეომარი/ დაუნდობელი ----------1.

4. (54) თბილისის ქვევით / მარაბდის სამხრეთით / მარაბდასთან ----1.

5. (53) სამი დღის განმავლობაში სისხლი განუწყვეტელ ნაკადულებად მიდიოდა ----------1.

6. (73) სპარსელებს ახალი ჯარი მიეშველა ---------- 1.

7. (56) ლომებს ---------- 1.

8. (44) მათ გადაწყვიტეს, ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ---------- 1.

9. (42) პატივისცემა/ მოწიწება/მადლიერება/აღფრთოვანება / სიყვარული/ თანაგრძნობა ---------- 1.

10. (75) ბ. ---------- 1.

11. (83) ა. ---------- 1.

12. (21) მე-17 საუკუნეში ---------- 1.

IV. შემთხვევით მოსმენილი საუბარი

1. (71) ბ. ---------- 1.

2. (71) გ. ---------- 1.

3. (39) ა. ---------- 1.

4. (53) შერცხვენილ / შელახულ სახელს ----------1.

5. (68) სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო ---------- 1.

6. სიტყვა / პირობა და სახელი ---------- 2.

   ა) (47) სიტყვა/ პირობა ---------- 1.

   ბ) (43) სახელი ---------- 1.

7. (44) მას გაახსენდა, რომ ფრანგები რამდენიმე სახელს ატარებენ (*სწორ პასუხად ჩაითვლება სხვა სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი*)---------- 1.

8. (40) გ. ---------- 1.

9. (43) ბ. ---------- 1.

10. (32) „ნეტავ რა ჰქვია?“ - გავიფიქრე მე / რატომღაც მისამართი დავიმახსოვრე / ვინატრე: „ნეტავ ბევრი იყოს ჩვენს ქალაქში ასეთი ეზოები“ ----------1.

11. (50) ბ. ----------1.

12. (65) ბ. ---------- 1.

V. კომეტები

1. (82) კომეტებს ----------1.

2. (70) უბედურებას ----------1.

3. (34) კომეტები მზის სისტემის ხანმოკლე სტუმრები არიან (ასევე სწორ პასუხად ჩაითვლება საკუთარი სიტყვებით გადმოცემული იგივე აზრი) ----------1.

4. (63) ტელესკოპის საშუალებით ----------1.

5. (50) ა. ----------1.

6. (45) გ. ----------1.

7. (50) ბ. ---------- 1.

8. (55) გ. ----------1.

9. (59) ა. ----------1.

ინდიელები

1. (45) ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას ----------1.

2. (37) გ. ---------- 1.

3. (63) ამერიკის კონტინენტის ზოგიერთ ნაწილში /ამერიკაში ---1.

4. (56) არ იცოდა ----------1.

დიოგენე

1. (24) 5, 4, 2, 1, 6, 3 ---------- 1.

სარჩევი

1. (49) ბ. ---------- 1.

VI. ამერიკის აღმოჩენა

1. (72) ბ. ---------- 1.
2. (67) გ. ---------- 1.
3. (61) ესპანეთიდან ---------- 1.
4. (74) ატლანტის ოკეანე ---------- 1.
5. (42) ევროპის კონტინენტიდან ---------- 1.
6. (65) არა ---------- 1.
7. (52) მას ეგონა, რომ ინდოეთი აღმოაჩინა (*ასევე სწორ პასუხად ჩაითვლება სხვა სიტყვებით გადმოცემული იგივე აზრი*) -------1.
8. (71) გ. ---------- 1.
9. (62) ბ. ----------1.
10. (69) ბ. ---------- 1.

ლილიპუტი

1. (57) ქონდრისკაცი / ჯუჯა (*დასაშვებია* – ციცქნა) ------ 1.
2. (39) ა. ---------- 1.
3. (63) გ. ----------1.
4. (44) ბ. ----------1.
5. (34) ბ. ---------- 1.

მოცარტი

1. (49) გ. ----------1.

VII. დინოზავრები

1. (72) მრავალი მილიონი წლის წინათ ---------- 1.

2. (71) ბ. ---------- 1.

3. (54) მეგალოზავრის/„უზარმაზარი ხვლიკის“ ---------- 1.

4. (78) ბაროზავრი/ „მძიმე ხვლიკი“ ----------1.

5. (83) ხის ფოთლებს ადვილად რომ მისწვდომოდნენ (*ასევე სწორ პასუხად ჩაითვლება სხვა სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი*)---1.

6. (74) იმიტომ, რომ ისინი ნადირობდნენ და ხორცს ჭამდნენ (*ასევე სწორ პასუხად ჩაითვლება სხვა სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი*) ---------- ----------1.

7. (44) შემთხვევით აღმოჩენილი ძვლებისა და მათი გაქვავებული ნაფეხურების მიხედვით ---------- 2.

   ა) ძვლების მიხედვით ---------- 1.

   ბ) ნაფეხურების მიხედვით ---------- 1.

8. (80) ქუთაისის მახლობლად, სათაფლიაში/ სათაფლიაში/იმერეთში-1.

9. (51) ბ. ----------1.

გიგანტი

1. (69) გიგანტს ---------- 1.

2. (74) ბ. ---------- 1.

3. (59) ა. ---------- 1.

4. (34) ა. ---------- 1.

წიგნი

1. (88) დათო ზურაბიშვილი ---------- 1.

2. (45) ა. ----------1.

3. (61) ა. ---------- 1.

სად რას ნახავ

2. (75) მუზეუმში ---------- 1.

3. (68) კინოთეატრში ---------- 1.

4. (70)თეატრში ---------- 1.

5. (53) სავაჭრო ცენტრში, მაღაზიაში ---------- 1.

6. (53) ბიბლიოთეკაში ---------- 1.

7. (57) მუზეუმში ---------- 1.

VIII. ოლიმპიური თამაშები

1. (83) ბრინჯაოს მედალი ---------- 1.
2. (49) ბ. ---------- 1.
3. (47) ზეთისხილის შტოებისგან დამზადებული გვირგვინით/ გვირგვინით-----1.
4. (49) ბ. ---------- 1.
5. (66) საბეძნეთში ---------- 1.
6. (62) პირველი ---------- 1.
7. (45) ბ. ---------- 1.

გოლიათი

1. (66) გოლიათს ---------- 1.
2. (65) ბ. ---------- 1.
3. (65) გ. ---------- 1.
4. (26) ა. ---------- 1.

ამოცანა

1. (50) ა. ---------- 1.
2. (80) 1922 წელს ---------- 1.
3. (50) ბ. ---------- 1.
4. (49) პატრონი ვეღარ უვლიდა / კუ სწრაფად იზრდებოდა / პატრონი ვეღარ კვებავდა კუს / პატრონს ეცოდებოდა ტყვეობაში მყოფი კუ / ტოტო წყლის კუ იყო / ტოტოს უყვარდა თევზეული / პატრონმა კუ მშობლიურ გარემოში დააბრუნა (*სწორად ჩაითვლება სხვა ლოგიკური აზრიც*).

წიგნები

2. (62) სასკოლო სახელმძღვანელოები ---------- 1.
3. (50) ქართული პოეზია ---------- 1.
4. (46) ქართულ ენაზე ნათარგმნი ზღაპრები და მოთხრობები --------- 1.
5. (53) ქართული ზღაპრები და მოთხრობები ---------- 1.
6. (33) ალბომები ---------- 1.

ნაწილი II

(კრებული II 2006 წლის გამოცემა)

ბავშვებო,

ამ კრებულში თქვენ წაიკითხავთ სხვადასხვა სახის ტექსტებს და უპასუხებთ შეკითხვებს იმის შესახებ, რაც წაიკითხეთ.

კითხვების ნაწილს მოსდევს სამი ან ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან ერთადერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოთ და შემოხაზოთ. ზოგიერთ კითხვას პასუხი წერილობით უნდა გასცეთ, რისთვისაც შეკითხვის შემდეგ სპეციალური ადგილია გამოყოფილი. კრებულში შეგხვდებათ რამდენიმე სხვა სახის დავალებაც, რომლებსაც მითითებები თან ახლავს.

კრებული რვა ნაწილისაგან შედგება. სასურველია, თითოეულ ნაწილზე მუშაობა 45 წუთში დაასრულოთ.

გისურვებთ წარმატებას!

I. თაგვების ფეხბურთი

დავით ჯავახიშვილი

ერთ ზაფხულს დედაჩემი ორი დღით სტუმრად ეწვია მეგობრის ოჯახს სოფელში. მეც თან ვახლდი. მაშინ რვა ან ცხრა წლისა ვიქნებოდი.

პირველივე დღეს, ვახშმის შემდეგ, უფროსებმა, როგორც იციან, ბავშვები დასაძინებლად ადრე გაგვისტუმრეს, თვითონ კი აივანზე განაგრძეს ჩაის სმა და საუბარი.

მე ცალკე, დიდ დარბაზში დამაწვინეს, შუქი ჩამიქრეს და ძილი-ნებისა მისურვეს. სახლი თანდათან ღამის იდუმალი ხმებით ივსებოდა. არ მეძინებოდა, თვალებდაჭყეტილი ავცქეროდი სიბნელეში ჭერს და სმენად ვიყავი ქცეული. ჯერ იყო და, სადღაც ხის ჭია გულისგამაწვრილებლად აფხაკუნდა, მერე კი ჭრიჭინების მთელი კაპელა* აჭრიჭინდა გამაყრუებლად. ერთს მაინც ისეთი ბოხი ხმა ჰქონდა, „შალიაპინი“ დავარქვი (იყო ერთი რუსი მომღერალი, მსოფლიოში სახელგანთქმული ბანი). ბოლოს ეს ხმები სახლის სხვენზე ატეხილმა რაკარუკმა გადაფარა. მივხვდი: თაგვების მთელი ჯოგი ერთ კერკეტ კაკალს წინ და უკან დააგორებდა, დასდევდა, ებრძოდა და ვერას აკლებდა. უნდა გესმინათ, რა ამბავში იყვნენ ის მართლა თაგვები! სხვენის ერთი ბოლოდან მეორემდე სულ რიკინრიკინით მიაგორებდნენ კაკალს, იქ ერთხანს ყოვნდებოდნენ, ეტყობა, მაგარი ზედახორა იმართებოდა. მერე ისევ უკან მორბოდნენ და ახლა იქ იმართებოდა ბრძოლა... მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. თუმცა, ვტყუი, არ დამიძინია, თორემ თვალი სწორედაც რომ დავხუჭე და აი, მაშინდა „დავინახე“, რაც ხდებოდა სხვენზე.

ეს იყო ნამდვილი ფეხბურთის მატჩი, დაძაბული და დაუნდობელი. ერთი მეორისაგან გასარჩევად გუნდები „წითლებად“ და „თეთრებად“ მოვნათლე, თორემ ისე ყველა ნაცრისფრად გამოიყურებოდა, როგორც შავ-თეთრი ტელევიზორის ეკრანზე. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. დასაწყისში „თეთრები“ უტევდნენ. განსაკუთრებით „თეთრების“ მარცხენა გარემარბი გამოირჩეოდა, ყველაზე პატარა და ყველაზე მარჯვე ორ-სამ მცველს შორის თაგვივით გადიოდა (აბა, როგორ გამოვიდოდა?!). პირველი გოლი სწორედ მან გაიტანა... კომენტატორად არ ვვარგივარ და უნდა შევწყვიტო რეპორტაჟი. იმასღა ვიტყვი, რომ დილისკენ ანგარიში უკვე 5 : 5 იყო და მთელი მატჩიც ასევე დასრულდა. კაკალი მთელი დარჩა და არავის ერგო, მატჩის მსაჯს გადაეცა შესანახად. მსაჯი ტანად ყველაზე დიდი იყო

და ეჭვი გამიჩნდა, რომ ის სულაც ახალგაზრდა ვირთაგვა უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, უამრავი თამაში მინახავს ცოცხლადაც, ტელევიზორშიც, მაგრამ ისეთი სანახაობრივი, შინაარსიანი და დაძაბული შეხვედრა, როგორიც დედაჩემის მეგობრის ოჯახში, სახლის სხვენზე „ვნახე“, ერთიც არ ყოფილა. ანკი რა უნდა უოფილიყო იმაზე უკეთესი, რასაც რვა-ცხრა წლის ბავშვი ძილის წინ, სიბნელეში, საკუთარი ყურით მოისმენს და საკუთარი თვალით ნახავს?!

---

* კაპელა – მომღერალთა გუნდი.

1. რატომ გაისტუმრეს უფროსებმა ბავშვები დასაძინებლად ადრე, ვახშმის შემდეგ?

1 _____

_____

2. რატომ არ დაეძინა დიდხანს მოთხრობის გმირს?

ა მას ფანჯრიდან შემოსული შუქი სახეში სცემდა.

ბ ის დიდ დარბაზში იწვა და სიცივე აწუხებდა.

გ აივნიდან უფროდების საუბარი მის ოთახამდეც აღწევდა.

დ გარემო თანდათან იდუმალი ხმებით ივსებოდა.

3. რატომ უწოდა მოთხრობის გმირმა ერთ-ერთ ჭრიჭინას „შალიაპინი“?

1 _____

_____

4. მოთხრობაში წერია: აი, მაშინდა *„დავინახე“*, რაც ხდებოდა სხვენზე. რატომ არის ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა „დავინახე“?

ა რათა მკითხველი დაარწმუნოს, რომ ის სინამდვილეში მომხდარ ამბავს გაიგებს.

ბ რათა მკითხველს აგრძნობინოს, რომ სხვენზე მართლაც განსაკუთრებული რამ მოხდა.

გ რათა მიგვანიშნოს, რომ მწერალს თვითონ გადახდა თავს ეს ამბავი.

დ რათა მიგვანიშნოს, რომ მთხრობელს სინამდვილეში კი არ დაუნახავს, არამედ წარმოიდგინა, სხვენზე რაც ხდებოდა.

5. ამოიწერე მოთხრობიდან ორი სიტყვა, რომელებითაც მწერალი თაგვების ფეხბურთის მატჩს ახასიათებს:

2
1 _____
1 _____

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოთქმა შექმნა თვითონ მწერალმა?

ა ხის ჭია

ბ მარცხენა გარემარბი

გ ჭრიჭინების კაპელა

დ კერკეტი კაკალი

7. დაახასიათე „თეთრების“ მარცხენა გარემარბი თაგვი, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა მატჩის მსვლელობისას. მიუთითე, რას აკეთებს იგი ისეთს, რაშიც მისი გამორჩეულობა ჩანს.

2
_____
_____

8. რას ნიშნავს გამოთქმა: „თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა“?

ა თამაშში თავიდანვე დაწინააურდა ძლიერი გუნდი.

ბ თამაშის მანძილზე ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა ხოლმე, ხან – მეორე.

გ თავიდან თამაშში ერთი გუნდი დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ მას მეორემ აშკარად აჯობა.

დ თავიდან თამაშში ვერც ერთი გუნდი ვერ დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთმა უპირატესობა მოიპოვა.

9. რატომ იფიქრა მოთხრობის გმირმა, რომ მატჩის მსაჯი ვირთაგვა იყო?

ა „წითლებისა“ და „თეთრებისაგან“ განსხვავებით, ის ნაცრისფერი იყო.

ბ მატჩის ბოლოს კაკალი მას გადაეცა შესანახად.

გ ის ტანად ყველაზე დიდი იყო.

დ ის ყველაზე მარჯვე იყო.

10. დაასახელე ერთი ისეთი რამ, რაც სინამდვილეში მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო სხვენზე, და ერთი ისეთი რამ, რაც სინამდვილეში ვერ მოხდებოდა, მაგრამ მოთხრობის გმირმა წარმოიდგინა:

2

1 _____

_____

1 _____

_____

11. ტექსტის რომელი წინადადებიდან ჩანს, რომ ეს ამბავი მწერლის ბავშვობის მოგონებაა?

1 _____

_____

12. რა არის მწერლის მთავარი სათქმელი?

ა ზაფხულობით სოფელში გამგზავრება ძალიან სასიამოვნოა

ბ სოფლებში სახლების სხვენზე თაგვები ბინადრობენ.

გ ბავშვობისას განცდილი და ნანახი დაუვიწყარია.

დ ფეხბურთის (თანაც თაგვების ფეხბურთის!) მატჩის კომენტატორობა საკმაოდ ძნელია.

II. კ ა დ ე შ ი ს ო მ ი

ეგვიპტის ფარაონს, რამზესს, ცნობა მოუვიდა – საომრად გიწვევს ხეთების ხელმწიფე, დაკარგული მიწების კვლავ ხელში ჩაგდება მოინდომაო. ჩაეცინა უშიშარ რამზესს, გაიფიქრა, ნეტავ, როგორ განუზრახავს იმ ხნიერ მეფეს ჩამთან შერკინება? უთუოდ უნდა შევებრძოლო და ისეთი სიმარჯვე ვაჩვენო, ხეთებმა ხმლის ამოღებაც ვერ მოასწრონო.

გადმოდგა სასახლიდან ფარაონი და ეგვიპტელებს მიმართა:

„ეგვიპტელნო, თქვენს ხელთაა ახლა სამშობლოს ბედი. დაე, ნახოს მტერმა, რისი შნო გვაქვს! საომრად გავემართოთ და სამშობლოსთვის სისხლი დავღვაროთ!“

ბრძოლის ჟინით ანთებულმა ეგვიპტელებმა აღარ დააყოვნეს: მდინარე ნილოსის ნაპირს მიადგნენ, წმინდა წყალში განიბანნენ და საომრად გაემზადნენ.

ვრცელ კადეშის ველს სამხრეთიდან კლდეები ერტყა. აქ, ამ ველზე უნდა შერკინებოდნენ ერთმანეთს რამზესი და ხეთთა ხელმწიფე. ირიჟრაჟა. ეგვიპტელები კლდოვანი მხრიდან ელოდნენ მტრის გამოჩენას, მაგრამ მოწინააღმდეგე არსაიდან ჩანდა. იარაღის ჩქამიც კი არ ისმოდა.

„რაღაც ცუდს გრძნობს გული. მამა-პაპათაგან მსმენია ხეთის ხელმწიფეების ვერაგობის ამბავი,“ – გაიფიქრა რამზესმა. ფარაონის ავი წინათგრძნობა გამართლდა. ხეთებმა ჯერ ცრუ მაცნეები შეაგზავნეს რამზესის ბანაკში, ლოდინით დაქანცეს ლაშქარი, შემდეგ კი შემოუარეს მთებს, ზურგიდან დაესხნენ თავს რაზმს და რამზესის დატყვევება მოახერხეს.

წინამძღოლის გარეშე დარჩენილი ეგვიპტელები დიდი თავგანწირვით იბრძოდნენ. ასეთივე თავდადებით იბრძოდნენ ხეთებიც... კადეშის ველი წითლად შეიღება.

გამარჯვება ხეთებმა მოიპოვეს.

1. **რომელი წინადადება გადმოსცემს სწორად ეგვიპტელთა განწყობას?**

   ა ფარაონის ბრძანებას დამორჩილებული ეგვიპტელები ხეთებთან საომრად გაემძადნენ

   ბ ფარაონის მუქარით შეშფოთებული ეგვიპტელები ხეთებთან საომრად გაემზადნენ.

   გ ფარაონის მოწოდებით ანთებული ეგვიპტელები ხეთებთან საომრად გაემზადნენ

2. **რის გამო ებრძოდნენ ხეთები ეგვიპტელებს?**

   1 _____

   _____

3. **რატომ ეწოდა ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის გამართულ ბრძოლას კადეშის ომი?**

   1 _____

   _____

4. **დაკვირვებით წაიკითხე ტექსტის პირველი აბზაცი.**
   რომელი აზრი გამომდინარეობს ამ აბზაციდან?

   ა კადეშის ომის დროს ფარაონი რამზესი უკვე ხნიერი იყო.

   ბ კადეშის ომის დროს ფარაონი რამზესი არ ყოფილა ხნიერი.

   გ აქ არ ჩანს, იყო თუ არა რამზესი კადეშის ომის დროს ხნიერი.

5. **რა სურდა ფარაონ რამზესს?**

   ა ხეთების ლაშქრობაზე ზურგიდან თავდასხმა და გამარჯვების მოპოვება.

   ბ ხეთების ლაშქართან პირისპირ შებრძოლება და სახელოვანი გამარჯვება.

   გ ხეთების ხელმწიფესთან დროებით მორიგება და ბრძოლისთვის უკეთ მომზადება.

6. საიდან მოელოდნენ მტრის გამოჩენას რამზესი და მისი მეომრები?

1 _____

7. რატომ უგრძნო ცუდი გულმა რამზესს ბრძოლის წინ?
იმიტომ, რომ:

ა მისი მეომრები მდინარე ნილოსში განიბანნენ.

ბ ეჭვი შეეპარა საკუთარ ძალაში.

გ მოაგონდა წინაპართა ნაამბობი ხეთების ხელმწიფეთა ვერაგობის შესახებ.

8. რომელი გამოთქმა მიგვანიშნებს, რომ ამ ომში მრავალი მეომარი დაიღუპა?

1 _____

9. რომელი დახასიათება შეეფერება ფარაონ რამზესს?

ა ვერაგი და თავდაჯერებული

ბ ვერაგი და ფრთხილი.

გ მამაცი და თავდაჯერებული

III. პ ლ ა ნ ე ტ ა დ ე დ ა მ ი წ ა

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი „პატარა უფლისწული“

ამ ამბის ავტორი მფრინავი იყო. ის კატასტროფის შედეგად უდაბნოში აღმოჩნდა. იქ იგი პატარა უფლისწულს შეხვდა, რომელიც უცხო პლანეტიდან ესტუმრა დედამიწას. მანამდე მან სხვა პლანეტებიც მოინახულა.

მეშვიდე პლანეტა, რომელსაც პატარა უფლისწული ეწვია, დედამიწა იყო. დედამიწა უბრალო პლანეტა არ გეგონოთ! ამ პლანეტაზე ას თერთმეტი მეფეა (მათ შორის არიან, რა თქმა უნდა, ზანგი მეფეებიც), შვიდი ათასი გეოგრაფი, ცხრა ათასი საქმოსანი, შვიდი მილიონ ხუთასი ლოთი და სამას თერთმეტი მილიონი პატივმოყვარე – ესე იგი, სულ დაახლოებით ორ მილიარდამდე ადამიანი.

დედამიწის სიდიდე რომ უფრო კარგად წარმოიდგინოთ, უნდა იცოდეთ, რომ სანამ ელექტრონს აღმოაჩენდნენ, ექვსივე კონტინენტზე მეფარნეთა მთელი არმია არსებობდა, რომელიც ოთხას სამოცდაორი ათას ხუთას თერთმეტი კაცისაგან შედგებოდა.

შორიდან ის დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა: არმიის მოძრაობა საბალეტო დასის მოძრაობასავით მწყობრი იყო. პირველად სცენაზე ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის მეფარნეები გამოდიოდნენ, აანთებდნან თავიაანთ ფარნებს და დასაძინებლად მიდიოდნენ. შემდეგ გამოდიოდნენ ჩინეთისა და ციმბირის მეფარნეები, ჩამოუვლიდნენ წრეს და კულისებში გაიკრიფებოდნენ. მათ შემდეგ დგებოდა რუსეთის და ინდოეთის მეფარნეთა რიგი. ამათ მოჰყვებოდნენ აფრიკისა და ევროპის, შემდეგ სამხრეთ ამერიკის, მერე კი ჩრდილოეთ ამერიკის მეფარნეები. და არც ერთს არ ეშლებოდა, როდის უნდა გამოსულიყო სცენაზე. მართლაც შთამბეჭდავი სანახაობა იყო!

მხოლოდ ორი მათგანი იყო არხეინად – ის, რომელსაც ჩრდილოეთ პოლუსის ერთადერთი ფარანი უნდა აენთო და მისი სამხრეთპოლუსელი კოლეგა. მათ წელიწადში მხოლოდ ორჯერ უნდა შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა.

1. რომელია ის ორი ქვეყანა, სადაც პირველად ინთება ფარნები?

1 _____

2. რამდენი კონტინენტია დედამიწაზე?

1 _____

3. რომელ ქვეყანაში ინთება ფარნები იმავე დროს, როცა ციმბირს ანათებენ?

1 _____

4. რისი ნაწყვეტი უნდა იყოს ეს ამბავი?

ა ბუნების და გეოგრაფიის სახელმძღვანელოსი.
ბ მხატვრული ნაწარმოების – მოთხრობის, ზღაპრის.
გ სამეცნიერო ნაშრომის ან ენციკლოპედიის.

5. რა არის აღწერილი ამ ტექსტში?

ა ელექტრონული განათების გამოგონება.
ბ პლანეტის მეფეთა ცხოვრება.
გ ღამის სანახაობა – დედამიწის განათება.

6. მე-3 აბზაცში იპოვე და ამოწერე ორი წინადადება, საიდანაც ჩანს, რომ ავტორი მოხიბლულია ღამის მშვენიერი სანახაობით:

2
1 _____
1 _____

7. როგორ ფიქრობ, რით ანათებენ მეფარნეები ფარნებს?

1 _____

IV. ს ა თ ა ფ ლ ი ა

სათაფლია – მღვიმე ქუთაისის მახლობლად, სამგურალის სერზე, სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე. მღვიმე დერეფნის ტიპისაა, აქვს განშტოებები და დარბაზები. მისი სიგრძე 900 მ-ს აღწევს, მაქსიმალური სიმაღლე 10 მ-ია, სიგანე – 12 მ. სათაფლია მდიდარია სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით. მღვიმეში ჰაერის და წყლის ტემპერატურა თითქმის თანაბარია – 12-13 °C. აღმოაჩინა პედაგოგმა და მხარეთმცოდნემ პ. ჭაბუკიანმა. სათაფლიას ნაკრძალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია კიდევ სამი შედარებით მცირე ზომის მღვიმე.

მოთხრობაში პაპა საზაფხულო არდადეგებზე მასთან ჩასულ შვილიშვილს სათაფლიას ახლადაღმოჩენილ გამოქვაბულს ათვალიერებინებს.

– აი, ესეც სათაფლიას მთა, აგერ მის ძირში სათაფლიას გამოქვაბული! – წამოიძახა პაპა პეტრემ, როცა ტაფობის ბოლოს აღმართული მაღალი კლდოვანი გორაკი გამოჩნდა.

ჯერჯერობით ნიკო გამოქვაბულის შესასვლელს ვერ ხედავდა, მას ბუჩქნარი ფარავდა და უცხო თვალისათვის ძნელი იყო მისი შემჩნევა. ტაფობში ატეხილ შამბში და ანწლის ბუჩქნარში გველივით მიიკლაკნებოდა პატარა ნაკადული.

– ეს მდინარე ოღასყურას სათავეა. ხედავ, აი აქ, ამ ძაბრისებრ ადგილას ჩადის და იკარგება, – უთხრა პაპა პეტრემ შვილიშვილს.

– როგორ თუ იკარგება? – შეეკითხა ნიკო.

– ჰო, ერთხანს მიწისქვეშ მიედინება, მერე კი ბანოჯის მახლობლად ისევ ამოჰყოფს თავს.

– საკვირველია.

– ჰოდა, პირველად სწორეს ამან მიიქცია ჩემი ყურადღება. მაშასადამე, აქ მიწისქვეშა ხეობა ან გამოქვაბული უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე, როცა მიდამოები პირველად დავათვალიერე. კარგად დავზვერე ეს მიდამო და აი, ამ კლდის ძირში შევამჩნიე. თუმცა, მივიდეთ და შენი თვალით ნახე.

პაპა და შვილიშვილი კლდის ძირს მიდგნენ, სადაც მანამდე მათთვის შეუმჩნეველი გამოქვაბულის შესასვლელი გამოჩნდა. გამოქვაბული მათ ჩაღამებული თვალივით უმზერდა. საოცარი სიგრილე და ნესტი იდგა ამ იდუმალებით სავსე მიწისქვეშა მღვიმის შესასვლელთან.

– ასე კი არ იყო მაშინ, – გააგრძელა პეტრემ, – ეს ადგილი მთლად ქვით, ღორღითა და გვიმრით იყო დაფარული.

პაპამ და ბიჭმა ფრთხილად შეაბიჯეს გამოქვაბულში. ნიკომ უნებლიეთ თვალები მოიფშვნიტა და ჯერ პაპა პეტრეს სახე, ხოლო შემდეგ მისი მაღლა აწვდილი ხელი დაინახა, რომელიც სანთლის მკრთალ შუქს გაენათებინა. სიბნელეს თვალი რომ შეაჩვია, გამოქვაბულის თაღის ბუნდოვანი მოხაზულობაც გაარჩია. გამოქვაბულის სამარისებურ სიჩუმეში წყლის სუსტი ჩხრიალი გაისმა.

– ეს ოღასყურას სათავე ჩხრიალებს. აი, ზევით რომ გაჩვენე პატარა ნაკადული, რომელიც ტაფობში იკარგება... ნამდვილად კი არ იკარგება. აი, აქ ჩამოდის თურმე და გამოქვაბულში მიედინება. ასე რომ, ეს გამოქვაბული მიწისქვეშა ხეობაა, რომელიც კირქვის კლდეში ამ პატარა მდინარის მუდმივი „მუშაობის“ შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი. მართლა წარმტაცი და მშვენიერია ბუნების ჯადოსნური ხელით შექმნილი ძეგლი. აი, ხედავ ამას!

პატრემ გამოქვაბულის თაღს სანთელი მიანათა. თვალისმომჭრელად აციმციმდნენ გამოქვაბულის ჭერში ჩამოკიდული საოცარი სილამაზის ყინულის ლოლუებისა და თაფლში ამოვლებული ჩურჩხელების მსგავსი სხეულები, რომელთა ბროლისფრად წაწვეტებულ ბოლოებზე დილის ნამივით ბრწყინავდნენ წყლის წვეთები.

– ამას სტალაქტიტი ჰქვია, – ამბობდა პეტრე და ერთ უზარმაზარ ლოლუას სხვადასხვა მხრიდან ანათებდა, – სტალაქტიტი წარმოიქმნება წყლის წვეთებისაგან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოქვაბულის ჭერიდან მოედინებიან. წყლის წვეთს კლდიადნ კირი მოაქვს, რომელიც ჰაერზე გამოსვლის შემდეგ ისევ მყარ ნივთიერებად იქცევა და გამოქვაბულის ჭერს ეკიდება. ზოგჯერ კირიანი წყლის წვეთები სანთელივით ძირს იღვენთებიან და სტალაგმიტებს წარმოქმნიან. აბა, ქვემოთ დაიხედე!

პაპამ ახლა გამოქვაბულის იატაკი გაანათა. გაოცებული ნიკო დაიხარა და უზარმაზარი სოკოს მსგავსი, თითქოს მიწიდან ამოზრდილი სხეული დაინახა. ხელი დაადო ამ უცნაურ სოკოს, რომელიც სველი და ყინულივით ცივი იყო.

– აი, ეგ არის სტალაგმიტი! სტალაგმიტები და სტალაქტიტები დროთა განმავლობაში იზრდებიან, გრძელდებიან და ერთმანეთს უახლოვდებიან. მაგრამ რომ იცოდე, როგორ ნელა, როგორ დინჯად... როგორ გგონია, რამდენ წელიწადში შეერთდებიან ეს სტალაგმიტი და სტალაქტიტი? ათასეული წლები უნდა! – ღიმილით თქვა პაპა პეტრემ და სანთელი ახლა გამოქვაბულის სიღრმისაკენ მიმართა.

– აგერ, ის უზარმაზარი სვეტი, რომელსაც ორი კაციც ვერ შემოაწვდენს ხელს, სტალაქტიტისა და სტალაგმიტის შეერთების შედეგადაა შექმნილი. აბა,

რომელი ადამიანის ხელს შეუძლია ასეთი იშვიათი სილამაზის სვეტების, დარბაზებისა და უცნაური გამოსახულებების შექმნა. ბუნება უცნაური, დიდი ხელოვნებაა!

ნიკო მოხიბლული ათვალიერებდა გამოქვაბულს. სიბნელეში ალალბედზე მიაბიჯებდა და შთაბეჭდილებებით დამძიმებულ თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა. ეს უცნაური, ბუნდოვანი ფიგურები ხან გაქვავებულ ადამიანად, ხანაც ცხოველად თუ ფრინველად ეჩვენებოდა.

პაპამ და ნიკომ გამოქვაბულში თითქმის მთელი საათი დაჰყვეს. როდესაც ნიკო გამოქვაბლიდან მზის სინათლეზე გამოვიდა, იგი უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ამოვიდოდა მომავალ ზაფხულს ამხანაგებთან ერთად სათაფლიაზე და ამ მშვენიერ, იდუმალებით აღსავსე მიდამოებსა და ულამეზეს გამოქვაბულს კვლავაც მოინახულებდა.

გიორგი შატბერაშვილის „სათაფლიას“ მიხედვით

1. როგორ იპოვა პაპამ მღვიმე?

ა იგი მდინარე ოღასყურას სათავეს ეძებდა.
ბ იგი სეირნობისას შემთხვევით წააწყდა გამოქვაბულს.
გ პაპამ ივარაუდა მღვიმის არსებობა და სპეციალურად დაზვერა მიდამო.
დ მან მღვიმის აღმოჩენის ამბავი მხარეთმცოდნისაგან შეიტყო.

2. რატომ იფიქრა პაპამ, რომ სათაფლაიში შეიძლებოდა მიწისქვეშა ხეობა ყოფილიყო?

ა იმიტომ, რომ იქ ნაკადული კლდის ქვეშ იკარგებოდა და შემდეგ ისევ ჩნდებოდა.
ბ იმიტომ, რომ სათაფლიას ძირას, ტაფობში ნაკადული გველივით მიიკლაკნებოდა.
გ იმიტომ, რომ ტაფობის ბოლოს მაღალი კლდოვანი გორაკი იყო აღმართული.
დ იმიტომ, რომ იქ მდინარე ოღასყურა იღებდა სათავეს.

3. რას გულისხმობს ავტორი, როდესაც ამბობს, რომ გამოქვაბული პაპას და შვილიშვილს „ჩაღამებული თვალივით უმზერდა“?

1 _____

_____

4. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან სტალაქტიტი და სტალაგმიტი?

_____

2 _____

5. რა წარმოიქმნება სტალაქტიტისა და სტალაგმიტის შეერთების შედეგად?

ა ჩურჩხელის ფორმის ფიგურა

ბ სოკოს მსგავსი ფიგურა

გ უზარმაზარი ყინულის ლოლუა

დ უზარმაზარი სვეტი

6. როგორ წარმოიქმნა სათაფლიას მღვიმე?

_____

1 _____

7. რასთან არის შედარებული მოთხრობაში სტალაქტიტი?

ა სოკოსთან

ბ სვეტთან

გ ყინულის ლოლუასთან

დ კლდის თაღთან

8. საიდან ჩანს, რომ სათაფლიას გამოქვაბულის ნახვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნიკოზე?

1 _____

9. ამოიწერე მოთხრობიდან ორი ფრაზა, საიდანაც ჩანს, რომ პაპა პეტრე მოხიბლულია სათაფლიას გამოქვაბულით.

1 _____

_____

2 _____

1 _____

10. დაასახელე ის სამი რამ, რასაც ნიკო გამოქვაბულის დათვალიერებისას სიბნელეში სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს ამსგავსებდა.

1 _____

_____

11. რა არის ჩარჩოში მოთავსებული ტექსტის ძირითადი დანიშნულება?

ა იმის გადმოცემა, თუ როგორ აღმოაჩინეს სათაფლიას მღვიმე.

ბ სათაფლიას მღვიმის შესახებ მოკლე ინფორმაციის მოწოდება.

გ იმის ჩვენება, თუ როგორ შეისწავლიან მღვიმეებს.

დ პაპისა და შვილიშვილის ამბის გადმოცემა.

12. რამ შეგიქმნა უფრო ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორია სათაფლიას მღვიმე?

აირჩიე და მონიშნე ერთ-ერთი პასუხი:

––– პაპისა და შვილიშვილის მიერ გამოქვაბულის დათვალიერების ამბავი
––– ჩარჩოში ჩასმული ინფორმაცია სათაფლიას შესახებ

დაასაბუთე შენი პასუხი ტექსტის იმ ნაწილის მეშვეობით, რომელიც ამოირჩიე.

1 _____

_____

_____

_____

13. ცხრილში წარმოადგინე ტექსტში მოცემული იმფორმაცია სათაფლიას გამოქვაბულის შესახებ – შეავსე ცხრილის ცარიელი გრაფები.

სათაფლიას გამოქვაბული	
სიგრძე	
	12მ
სიმაღლე	
ტემპერატურა	12-13°C

14. წარმოიდგინე, რომ შემოგთავაზეს სათაფლიას გამოქვაბულის დასათვალიერებლად წასვლა. გამოიყენე ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია და დაასახელე იმის ერთი მიზეზი, რატომ შეიძლება მოგინდეს იქ წასვლა და იმის ერთი მიზეზი, რატომ შეიძლება არ მოგინდეს დამოქვაბულის სანახავად წასვლა. განმარტე შენი პასუხი.

რატომ შეიძლება მოგინდეს სათაფლიას გამოქვაბულში წასვლა?

1 _____

_____

2

რატომ შეიძლება არ მოგინდეს სათაფლიას გამოქვაბულში წასვლა?

1 _____

_____

V. კ უ რ დ ღ ლ ე ბ ი ს მ ი წ ი ს ძ ვ რ ა

ინდური ზღაპარი

იყო ერთი კურდღელი, რომელიც სულ რაღაცის გამო წუხდა. „ვაი,“ – ოხრავდა მთელი დღე, – „ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!“ ყველაზე მეტად კურდღელს მიწისძვრის ეშინოდა. „მართლა რომ მოხდეს მიწისძვრა, რა მეშველება?“ – ბუტბუტებდა ხოლმე თავისთვის.

და აი, რა მოხდა ერთ დღეს. ხეს უზარმაზარი ნაყოფი მოსწყდა და კურდღლის მახლობლად დაეცა. გაისმა გამაყრუებელი ხმა და მიწა შეზანზარდა. კურდღელი შეხტა. „მიწისძვრა!“ – შეჰყვირა მან და თავისიანების გასაფრთხილებლად მინდვრებისკენ გაქანდა.

– მიწისძვრა! თავს უშველთ!

შეშინებული კურდღლები კისრის ტეხით აედევნენ თავიანთ მეგობარს. გადაირბინეს ველები, ტყეები, გორაკები, გზადაგზა სხვა კურდღლებსაც აფრთხილებდნენ:

– მიწისძვრა! თავს უშველეთ!

ათასობით კურდღლებმა გადაირბინა ველები. ტყეები, გორაკები – თითქოს სეტყვამ გადაუარა არემარეს. ბოლოს მთებამდე მიაღწიეს და მალე მწვერვალსაც მიადგნენ. ჩვენმა კურდღელმა უკან მიიხედა, რომ გაეგო, ხომ არ უახლოვდებოდათ მიწისძვრა. ერთადერთი, რაც მან დაინახა, კისრისტეხით მორბენალი კურდღლების აცქვეტილი ყურები იყო. ხოლო როდესაც წინ გაიხედა, ერთადერთი, რაც მან დაინახა, ლურჯი ზღვა იყო, შორს ძალიან შორს თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა.

უეცრად მთის მწვერვალზე ლომი გამოჩნდა.

– რა ხდება? – იკითხა მან.

– მიწისძვრაა, მიწისძვრა! – ერთხმად შესძახეს კურდღლებმა.

– მიწისძვრა? – გაიკვირვა ლომმა, – კი მაგრამ, ვინმემ ნახა ან გაიგონა რაიმე?

– აი, ამას ჰკითხე, ამას! – ყვიროდნენ კურდღლები და ჩვენს კურდღელზე უთითებდნენ.

– ჩემო ბატონო, – ჩაილუღლუღა დარცხვენილმა კურდღელმა, – ჩემთვის წყნარად ვიჯექი სახლში და უცებ საშინელი ხმა შემომესმა, მიწა ზანზარებდა და მივხვდი, რომ ეს

მიწისძვრა იყო. ჰოდა, ჩემიანებისკენ გავქანდი გასაფრთხილებლად. ხომ უნდა ეშველათ თავისთვის?

ლომმა შეხედა კურდღელს თავისი ღრმა, ჭკვიანი თვალებით.

– ძმობილო, იქნებ ის ადგილი მაჩვენო სადაც ეს ამბავი მოხდა.

კურდღელი მთლად ყოჩაღად ვერ გრძნობდა თავს, მაგრამ გადაწყვიტა, ლომს მინდობოდა. მათ გადაიარეს გორაკები, ტყეები, ველები და ბოლოს კურდღლის სახლს მიადგნენ.

– აი, აქ გავიგონე, ბატონო!

ლომმა იქაურობა დაათვალიერა და მალე შენიშნა ის უზარმაზარი ნაყოფი, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ხიდან ჩამოვარდა და არემარე გააყრუა.

ლომმა თავისი უზარმაზარი კბილი მოსდო ნაყოფს, იქვე კლდეზე აიტანა და იქიდან გადმოაგდო. მიწა შეზანზარდა. კურდღელი შეხტა. „მიწისძვრა!“ – შეჰყვირა მან, – „თავს უშველეთ, მიწისძვრა განმეორდა!“ მაგრამ უცებ დაინახა ნაყოფი, რომელიც მისკენ მოგორავდა, ლომი გულიანად იცინოდა.

– მაშ, ეს მიწისძვრა არ იყო, არა? – ჩაიბურტყუნა კურდღელმა.

– რა თქმა უნდა, არა, – თქვა ლომმა, – ეს არ იყო მიწისძვრა და საშიშიც არაფერია.

– რა სულელი ვარ, – აღიარა კურდღელმა.

ლომმა კეთილად გაიღიმა.

– არა უშავს, ჩემო პატარა ძმობილო, ზოგჯერ მეც მეშინია ხოლმე ისეთი რამის, რაც არ ვიცი, – თქვა და გაბრუნდა, წავიდა, რომ ის კურდღლები დაემშვიდებინა, რომლებიც მთის წვერზე იცდიდინენ, ეთქვა მათთვის, რომ არავითარი საშიშროება არ ელით და შეუძლიათ სახლებში დაბრუნდნენ.

1. **ყველაზე მეტად რა აშინებდა კურდღელს?**

   ა ლომი
   ბ მიწისძვრა
   გ ნაყოფის ხიდან ჩამოვარდნა
   დ გამაყრუებელი ხმაური

2. რამ შეარყია მიწა?

ა მიწისძვრამ
ბ უზარმაზარმა ნაყოფმა
გ კისრისტეხით მორბენელმა კურდღლებმა
დ ძლიერმა სეტყვამ

3. მოვლენები ძალინ სწრაფად განვითარდა მას შემდეგ, რაც კურდღელმა შეჰყვირა: „მიწისძვრა!“ ამოიწერე ტექსტიდან ორი ისეთი სიტყვა ან ფრაზა, რომლებიც ამ სისწრაფეს გამოხატავს.

1 _____

2

1 _____

4. სად სთხოვა ლომმა კურდღელს წაყვანა?

1 _____

5. რატომ ჩამოაგდო ლომმა ნაყოფი მიწაზე?

ა კურდღელს რომ შეშინებოდა და გაქცეულიყო.
ბ კირდღელს რომ დახმარებოდა ნაყოფის მოპოვებაში.
გ კურდღლისთვის რომ ეჩვენებინა, თუ რა მოხდა სინამდვილეში.
დ კურდღელი რომ გაემხიარულებინა.

6. რა განცდა დაეუფლა კურდღელს მას შემდეგ, რაც ლომმა ნაყოფი ჩამოაგდო?

ა გაბრაზდა
ბ იმედი გაუცრუვდა
გ თავისი სისულელის შერცხვა
დ ძალიან დადარდიანდა

7. ზღაპრის ბოლოს რას ამბობს ან აკეთებს ლომი იმისათვის, რომ კურდღელმა თავი უკეთ იგრძნოს? მოიყვანე ორი მაგალითი.

2

1

1

8. როგორ იცვლება ზღაპარში კურდღლის გრძნობები და რატომ?

ზღაპრის დასაწყისში

იმიტომ, რომ

2

ზღაპრის დასაწყისში

იმიტომ, რომ

9. აღნიშნე, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ლომი და კურდღელი და მიუთითე, რას ამბობს ან აკეთებს თითოეული მათგანი ისეთს, რაშიც ეს განსხვავება ჩანს.

3

10. რა არის ამ ზღაპრის მთავარი აზრი?

ა საფრთხე ყოველთვის თავიდან უნდა აიცილო.

ბ შენზე სუსტს და უმწეოს უნდა დაეხმარო.

გ მტაცებელ ცხოველს არ უნდა ენდო.

დ მიწისძვრის დროს გადარჩენის იმედი არ უნდა დაკარგო.

ტექსტი თავისი ტესტური კითხვებით გამოყენებული იყო PIRLS–ის 2001 წლის საერთაშორისო კვლევაში.

VI. გაგრილება ჭრიჭინებთან ერთად

– კონნიჩივა, გამარჯობა, დავით! – კარიდან შემომძახა ჩემმა იაპონელმა მზობელმა, – საჩუქარი მოგიტანე, კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა იაპონიაში!

ეს იყო ბაფთით სათუთად შეკრული პატარა კოლოფი. „რა შეიძლება იდოს ასეთ პატარა კოლოფში?“ თხელ, შრიალა ქაღალდში ლურჯად და თეთრად შეფერილი ჭურჭელი იყო შეფუთული. ფორმით ის პატარა ბოთლის თავსსახურს წააგავდა. ოდნავ გაბზარული, მოჭიქული ზედაპირი ჭურჭელს ძველებურ იერს ანიჭებდა.

– ეს წყლის ჭურჭელია ჭრიჭინებისთვის, – ჩემს ახლად შეძენილ მეგობარს ხმა სიამოვნებისაგან თითქოს უთრთოდა.

– კი მაგრამ, რა უნდა ვუყოთ ჭრიჭინების წყლის ჭურჭელს? – ვკითხე მე.

– რა და, ჭრიჭინების სახლში უნდა ჩადგა.

– ჭრიჭინების სახლში?!

– თუკი ზაფხულის ცხელი დღეების გატარებას ტოკიოში აპირებ, უნდა იცოდე, როგორ შეუძლიათ ჭრიჭინებს გაგრილებაში დაგეხმარონ.

გავოცდი. მაგრამ მალე შევიტყვე, რომ შორეულ აღმოსავლეთში ადამიანები უძველესი დროიდან იშინაურებენ ჭრიჭინებს. ძველად ჭრიჭინებს ბამბუკისაგან დამზადებულ, ან ნეფრიტის ქვისაგან ნატიფად გამოთლილ გალიებში ათავსებდნენ, რომლებსაც თავიანთი საზაფხულო სახლების სახურავებიდან, ან კიდევ აივნებიდან გადმოკიდებდნენ ხოლმე. ბამბუკის გალიებს დღესაც იყენებენ, თუმცა ბავშვების უმეტესობა თავის ჭრიჭინას კირისფერ ან ჟოლოსფერ პლასტმასის გალიაში აბინავებს.

ცხელი, დახუთული ზაფხულის თვეებში იაპონელთა პარკები მხიარული ბავშვებითა და მათი მშობლებით ივსება, რომლებიც შეიარაღებულნი არიან პეპლის საჭერებით და ჭრიჭინებს დასდევენ. ჭრიჭინების დაჭერა ძალიან ძნელია, რადგან ისინი კარგად განვითარებული უკანა ფეხებით სწრაფად დახტიან. როდესაც ჭრიჭინას პეპლის საჭერში მოიხელთებენ, მას გალიაში ან მცირე ზომის ჭურჭელში სვამენ, რომელსაც ნახვრეტებიანი სახურავი აქვს.

ვისაც არ შეუძლია თვითონ დაიჭიროს ჭრიჭინა, მისი ყიდვა შეუძლია ბაზრობაზე. მეც ბაზრობაზე შევარჩიე ერთი მოშავო-მოყავისფრო ჭრიჭინა, მსუქანი და თვალებდაჭყეტილი. მაღაზიის მფლობელმა ჭრიჭინა მუყაოს ყუთში ჩასვა. ყუთი ირყეოდა და ზანზარებდა. მივხვდი, ჩემს ჭრიჭინას იქ ყოფნა არ მოსწონდა. მას

სახლი სჭირდებოდა. ბაზრობაზე ჭრიჭინასთვის სახლის ძიება ერთ ხმაურიან ფარდულთან დავასრულე. იქ, კუთხეში, მიმალულიყო ბამბუკის წვრილი ლერწმისაგან მოწნული პატარა იაპონური სახლი. ის ნამდვილად მოუხდებოდა ძველებურ წყლის ჭურჭელს და ჩემს ჭრიჭინასაც მოეწონებოდა. კიმონოში გამოწყობილმა მაღაზიის პატრონმა ხელების მოშველიებით ამიხსნა, რომ წყლით სავსე ჭურჭლის ჩასადგმელად სახლში მიწა უნდა ჩამეყარა. „ჭრიჭინები სიამოვნებით მიირთმევენ უმ კარტოფილს, კიტრს, წყალში ჩამბალ პურს და მწვანილს," – მითხრა მან, – „რა თქმა უნდა, მათთვის შესაფერისი ულუფებით."

ჩარლიმ და მე ხალისთ დავიწყეთ დაბინავება. დარწმუნებული ვიყავი, ეს სახელი მას შეეფერებოდა – ვიცოდი, რომ მხოლოდ მამრი ჭრიჭინები ჭრიჭინებენ. ჭრიჭინების თითოეულ სიმღერას თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. არსებობს, მაგალითად, წინასაქორწინო სიმღერები, რომლებიც წყვილებს შეუღლებისაკენ მოუწოდებს, საბრძოლო სიმღერები, რომლებიც სხვა მამრებს აფრთხობს. იაპონიაში ამბობენ, რომ ჭრიჭინები ასე მღერიან: „კატა სასე სუსო სასე სამუსა გა კურუცო," ანუ „მოიქსოვე ხელთათმენები, შეიკერე თბილი ტანსაცმელი, ცივი ამინდები დგება."

ჭრიჭინა ჩარლი მშვიდად იყო, ვიდრე მის სახლში ცოტაოდენი მიწა ჩავყარე, სამზარეულოში მწვანილი და კარტოფილი მოვუმარაგე და ძველებური წყლის ჭურჭელი ჩავუდგი. ახლა როგორ მომეხერხებინა ამ დაუცხრომელი არსების მუყაოს ყუთიდან სახლში გადაყვანა? მუყაოს მოზანზარე ყუთი ავწიე. ჭრიჭინამ ისე შემომხედა, ეტყობოდა, მზად იყო ბრძოლისათვის. მხნეობა მოვიკრიბე და ჩარლი ალერსითა და მოფერებით უვნებლად გადავიყვანე თავის სახლში.

ზაფხულის სიცხისაგან გათანგულმა ჩარლის სახლი სახურავიდან აივანზე გადმოვკიდე. ნიავის ყოველ მსუბუქ დაბერვაზე ბაღში ზანზალაკები მელოდიურად წკარუნობდნენ.

– იჭრიჭინე, ჩარლი, იჭრიჭინე და გამაგრილე, – ვთხოვდი ჩარლის. ირგვლივ სიცხე ჩამოწოლილიყო და უეცრად ჩარლი აჭრიჭინდა. ჩარლის ჭრიჭინს მხარი აუბეს ბაღის ზანზალაკებმა. ამ საოცარმა ხმებმა და ჭრიჭინას ფრთების გაბმულმა ზუზუნმა თითქოს გააცოცხლა და სასიამოვნოდ დაატრიალა ჰაერი ჩემს გარშემო.

„იმღერე, ჩარლი!" – როგორც ყინულის წკრიალი ბროლის ჭიქაში, ისე გაისმოდა ჩარლის სიმღერა. სიცხე თითქოს გაქრა. ასე დავეუფლე გაგრილების იაპონურ ხელოვნებას ჭრიჭინების დახმარებით.

ლ. იაკობსონის „იაპონური ამბების" მიხედვით

ჭრიჭინებს აქვთ ოთხი ფრთა – ერთმანათზე დადებული ფრთების ორი წყვილი, რომელიც სხეულის ზემოთა ნაწილს ეკვრის. როდესაც მამრი ჭრიჭინა ზადა წყვილ ფრთას ასწევს და ერთ ფრთას მეორეს გაუხახუნებს, გაისმის მისი სიმღერა, ანუ ჭრიჭინი.

1. რა აჩუქა იაპონელმა მეზობელმა მთხრობელს?



ა პატარა ბოთლის მოჭიქული თავსახური

ბ ნაფრიტისაგან გამოთლილი ჭრიჭინების სახლი

გ ჭრიჭინების წყლის ჭურჭელი

დ ბამბუკისაგან დამზადებული ჭრიჭინების სახლი

2. რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ შენი საკუთრი ჭრიჭინა გყავდეს? დაასახელე ორი საშუალება:

2

1 _____

_____

1 _____

_____

3. რატომ არის ძნელი ჭრიჭინას დაჭერა?

1 _____

_____

4. რატომ იფიქრა მთხრობელმა, რომ ჭრიჭინას არ მოსწონდა ყუთში ყოფნა?

ა ყუთიდან ჩარლის ჭრიჭინი ისმოდა.

ბ მაღაზიის მფლობელმა თქვა, რომ ჭრიჭინას ყუთში ყოფნა არ მოსწონდა.

გ ყუთში გამომწყვდეულ ჭრიჭინას სიცხისგან თვალები ჰქონდა დაჭყეტილი.

დ ყუთი, რომელშიც ჭრიჭინა იჯდა, ირყეოდა და ზანზარებდა.

5. ჩამოთვალე ის ოთხი რამ, რასაც ჭრიჭინები ჩვეულებრივ ჭამენ.

1 _____

6. რა ეწოდება ჭრიჭინების სიმღერას, რომლის დანიშნულება სხვა მამრი ჭრიჭინების დაფრთხობაა?

1 _____

7. რატომ არის საჭირო ჭრიჭინას სახლში მიწის ჩაყრა?

ა იმიტომ, რომ ჭრიჭინამ მყუდროდ იგრძნოს თავი.

ბ იმიტომ, რომ ჭრიჭინას წყლის ჭურჭელი იქ ადვილად ჩაიდგას.

გ იმიტომ, რომ მიწაზე ჭრიჭინების საჭმელი დაიყაროს.

დ იმიტომ, რომ ჭრიჭინების სახლში სიგრილე იყოს.

8. ამოიწერე მოთხრობიდან წინადადება, საიდანაც ჩანს რომ მთხრობელს სიამოვნებას გვრის და აგრილებს ჩარლის ჭრიჭინი?

1 _____

9. როგორ ჭრიჭინებს ჭრიჭინა?

1 _____

10. დაალაგე ქვემოთ მოცემული წინადადებები იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მოქმედებს მთხრობელი. ნომერი 1 უკვე მითითებულია.

– – სახლში წყლის ძველებური ჭურჭელი ჩადგა.

– – ჭრიჭინა მუყაოს ყუთიდან სახლში გადაიყვანა.

–1– ჭრიჭინას სახლში მიწა ჩაყარა.

– – ჭრიჭინას სახლი სახურავიდან აივანზე გადმოკიდა.

11. რა არის ის მთავარი გრძნობა, რომელიც მთხრობელს გაუჩნდა თავისი ჭრიჭინას მიმართ?

ა გაოცების

ბ გაღიზიანების

გ მზრუნველობის

დ სიფრთხილის

12. იაპონელი მეზობლის საჩუქრის მიღების შემდეგ ბიჭმა ჭრიჭინა შეიძინა. დაასახელე ორი მიზეზი, თუ რატომ დაასაჩუქრა იაპონელმა ბიჭი სწორედ ამგვარი საჩუქრით?

2

1 _____

_____

1 _____

_____

13. შენ რას აჩუქებდი საქართველოში ჩამოსულ უცხოელ სტუმარს? ახსენი, რატომ.

2 _____

_____

_____

VII. პ ა ფ უ ნ ე ბ ი ს ღ ა მ ე ე ბ ი

ბრუს მაკმილანი



ყოველ წელიწადს არქტიკის კუნძულ ჰაიმეს სტუმრობენ ნარინჯისფერნისკარტიანი შავ-თეთრი ფრინველები. ესენი პაფუნები არიან. ნისკარტის ფერისა და მოუქნელი მოძრაობების გამო მათ „ზღვის ჯამბაზებსაც“ უწოდებენ. პაფუნები მოუხეშავი ფრინველები არიან, ტლანქი ტანი და მოკლე ფრთები აქვთ.

ჰალა კუნძულ ჰაიმეზე ცხოვრობს. ის ყოველდღე ზვერავს ცას იმ მაღალი კლდიდან, რომელიც ზღვას გადაჰყურებს. და აი, ბოლოს და ბოლოს გოგონა ხედავს პაფუნას, რომელიც იმ წელაწადს პირველად გამოჩნდება კუნძულის ნაპირებთან. მალე ცა მთლიანად იფარება პაფუნებით, ყველგან პაფუნები არიან. ისინი ზღვიდან ბრუნდებიან, სადაც გამოიზამთრეს, ბრუნდებიან ჰალას კუნძულზე და ახლომახლო მდებარე უკაცრიელ კუნძულებზეც, რათა კვერცხები დადონ და პატარა პაფუნები გამოჩეკონ. ზღვის ჯამბაზები ყოველ წელს მხოლოდ ამ დროს ამოდიან ხმელეთზე და ყოველთვის ერთსა დაიმავე ადგილას დებენ კვერცხებს.

ჰალა და მისი მეგობრები კლდეებზე მიძვრებიან, ფრინველენი ახლოდან რომ დაინახონ. ისინი აკვირდებიან პაფუნების წყვილებს, რომლებიც ერთმანეთს ნისკარტებს უკაკუნებენ – ტკაპ-ტკაპ-ტკაპ. ცოტა ხნის შემდეგ პაფუნები თავიანთ კვერცხებს კლდეში ღრმად დამალავენ. როდესაც ჯვერცხებიდან ბარტყები გამოიჩეკებიან, მშობლები მათ გამოკვებაზე დაიწყებენ ზრუნვას – მათთვის ზღვიდან თევზი ამოაქვთ. ბარტყები მალე ახალგაზრდა პაფუნებად გადაიქცევიან. და აი, გდება პაფუნების ღამე. ეს ის ღამეა, როდესაც ახალგაზრდა პაფუნები პირველად უნდა აფრინდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პაფუნების ღამეებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე კვირაა დარჩენილი, ჰალა უკვე მუყაოს ყუთების მომარაგებაზე ფიქრობს. ეს ყუთები მას პაფუნების ღამეებში გამოადგება.

აგვისტოსათვის პაფუნების ბუდეებს ნელ-ნელა ყვავილები ფარავს. ჰალამ იცის, რომ როდესაც გარშემო ყველაფერი აყვავილდება, პაფუნების ღამეების მოლოდინიც დასრულდება. ბუდეებში ჩამალულუ ბარტყები უკვე ახალგაზრდა პაფუნებად იქცნენ, ასე რომ, დროა ჰალამ და მისმა მეგობრებმა პაფუნების ღამეებისათვის გამზადებული ყუთები და ჩირაღდნები გარეთ გამოიტანონ. პირველი ღამიდან მოყოლებული მთელი ორი კვირის მანძილზე პაფუნები კუნძულს ტოვებენ და გამოსაზამთრებლად ზღვას მიაშურებენ.

ღამის სიბნელეში პაფუნები თავიანთ ბუდეებს ტოვებენ, რათა პირველად აფრინდნენ. ეს არის ხანმოკლე მოგზაურობა კლდიდან ზღვისაკენ. ფრინველების უმეტესობა ქვემოთ, ზღვაში უვნებლად ეშვება ფრთხიალით, მაგრამ ზოგს სოფლის სინათლეები ატყუებს – როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ ეს მთვარის შუქის ანარეკლია წყალზე და ამიტომაც ზღვის ნაცვლად გეზს სოფლისკენ იღებენ. ასე რომ, ყოველ ღამე ასობით ახალგაზრდა პაფუნა სოფელში ეშვება. ისინი მიწის სწორი ზედაპირიდან აფრენას ვეღარ ახერხებენ, შეშინებულები აქეთ-იქით აწყდებიან და დამალვას ცდილობენ.

ჰალა და მისი მეგობრები ღამეებს ამ პაფუნების ძებნაში ატარებენ. სხვათა შორის, მათ სოფლის ძაღლები და კატებიც ეძებენ. პაფუნებს სხვა საფრთხეც ემუქრებათ – შეიძლება ავტომანქანამ გადაუაროს. ამიტომ ბავშვებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა იპოვონ ისინი. ამის გამოა, რომ სოფელი ღამის ათი საათიდან ბავშვებით ივსება.

ჰალა და მისი მეგობრები ერთმანეთს ეჯიბრებიან პაფუნების გადარჩენაში. ისინი ჩირაღდნებით შეიარაღებულები დაძვრებიან ბნელ ადგილებში და ყველაფერს ზვერავენ. ორი კვირის განმავლობაში ჰაიმეს ბავშვებს დილაობით გვიანობამდე სძინავთ, რათა ღამით ფხიზლად იყონ. ისინი ათასობით პაფუნას შველიან.

აი, ჰალამ შენიშნა პაფუნა, დაედევნა, დაიჭირა და ყუთში ჩასვა. გადარჩენილი პაფუნები ბავშვებს სახლში მიჰყავთ. მეორე დღეს კი პაფუნებით სავსე ყუთები ჰალას და მის მეგობრებს ზღვის სანაპიროზე ჩააქვთ. აქ მათ პაფუნები უნდა გაუშვან. ჰალას ყუთიდან პაფუნა ამოჰყავს და ისე უჭირავს, რომ ფრინველმა ფრთების ამოძრავება შეძლოს. გოგონა ჯერ ფრთხილად არწევს პაფუნას და შემდეგ ზღვაში გადაისვრის. ფრინველი ერთს შეიფრთხიალებს და უვნებლად ეშვება წყალზე.

დღე დღეს მისდევს და ჰალას პაფუნები ტოვებენ კუნძულს, მიცურავენ. ასე მთავრდება პაფუნების ღამეები. ჰალა უყურებს, თუ როგორ შორდებიან პაფუნები კუნძულს და როგორ მიეშურებიან გამოსაზამთრებლად. გოგონა მათ ხელს უქნევს და მომავალ გაზაფხულამდე ემშვიდობება: „ნახვამდის, ნახვამდის!“

1. რატომ დაფრინავენ პაფუნები მოუქნელად?

ა იმიტომ, რომ ისინი ყინულზე ცხოვრობენ.

ბ იმიტომ, ისინი ნაპირზე იშვიათად ამოდიან.

გ იმიტომ, რომ ისინი მაღალ კლდეებზე ბუდობენ.

დ იმიტომ, რომ მათ ტლანქი რანი და მოკლე ფრთები აქვთ.

2. სად იზამთრებენ პაფუნები?

ა კლდეებში

ბ ხმელეთზე

გ ზღვაში

დ ყინულზე

3. რატომ ესტუმრებიან ხოლმე პაფუნები კუნძულს?

ა თავის გადასარჩენად

ბ საკვების მოსაპოვებლად

გ კვერცხების დასადებად

დ ფრენის სასწავლად

4. საიდან ხვდება ჰალა, რომ პაფუნები მალე ფრენას დაიწყებენ?

ა მშობლებს პატარა პაფუნებისათვის თევზი მიაქვთ.

ბ გარშემო ყველაფერი ყვავილებით იფარება.

გ ბარტყები კლდეში არიან ჩამალული.

დ ზაფხული ახლახან დაიწყო.

5. რა ხდება პაფუნების ღამეების დადგომისას?

ა პაფუნების წყვილები ერთმანეთს ნისკარტებს უკაკუნებენ.

ბ პატარა პაფუნებმა ფრენა უნდა დაიწყონ.

გ პაფუნების კვერცხებიდან ბარტყები იჩეკებიან.

დ პაფუნები ზღვიდან ხმელეთზე ამოდიან.

6. როგორ უნდა მოიქცნენ სოფლის მცხოვრებლები, პაფუნებმა შეცდომით გეზი სოფლისაკენ რომ არ აიღონ?

ა სინათლეები უნდა გამორთონ.

ბ ყუთები უნდა გაამზადონ.

გ ძაღლები და კატები უნდა დაამწყვდიონ.

დ ცა ჩირაღდნებით უნდა გაანათონ.

7. ახსენი, როგორ იყენებს ჰალა თავის ჩირაღდანს პაფუნების გადასარჩენად.

1

8. რატომ სვამენ ჰალა და მისი მეგობრები პაფუნებს მუყაოს ყუთებში?

1

9. მოთხრობის მიხედვით, რა საფრთხე ემუქრებათ პაფუნებს?

ა ისინი შეიძლება ზღვაში დაიხრჩონ.

ბ ისინი შეიძლება კლდეში დაიკარგონ.

გ მათ შეიძლება საკვები შემოაკლდნეთ.

დ მათ შეიძლება ავტომანქანამ გადაუაროს.

10. რატომ უშვებენ ბავშვები ზღვაში პაფუნებს დღისით? ამის ასახსნელად გამოიყენე ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია.

1

11. რას აკეთებაენ პაფუნები მას შემდეგ, რაც ჰალა და მისი მეგობრები მათ გაუშვებენ?

ა ისინი ზღვის ნაპირზე დასეირნობენ.
ბ ისინი კლდიდან გადაფრინდებიან.
გ ისინი სოფელს აფარებენ თავს.
დ ისინი ზღვაში მიცურავენ.

12. აღწერე ის ორი სხვადასხვანაირი გრძნობა, რომლებიც ჰალას უჩნდება მას შემდეგ, რაც პაფუნებს ზღვაში უშვებს. ახსენი, რატომ უჩნდება მას ეს გრძნობები.

3

13. თუ მიიღებდი მონაწილეობას პაფუნების გადარჩენაში ჰალასთან და მის მეგობრებთან ერთად? დაასაბუთე შენი პასუხი ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

1

ტექსტი თავისი ტესტური კითხვებით გამოყენებული იყო PIRLS–ის 2001 წლის საერთაშორისო კვლევაში.

VIII. ს ი ტ ყ ვ ი ს მ ა რ ა გ ი

დაფიქრდი და ამოიცანი!

1. **დააკვირდი სიტყვის მარაგს**

გაფიცხდა
იდავა
გამოიძია
შეკვეცა

ამ მარაგიდან ამოირჩიე და მიუწერე ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს მნიშვნელობით
მ ს გ ა ვ ს ი სიტყვები:

ა. გაცხარდა – _____

ბ. გამოიკვლია – _____

გ. იკამათა – _____

დ. შეამოკლა – _____

2. **სიტყვის მარაგი**

დამყოლო
ძუნწი
დონდლო
ზანტი

ამოარჩიე და მიუწერე ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს მნიშვნელობით
ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო სიტყვები:

ა. მკვირცხლი – _____

ბ. გულუხვი – _____

გ. ურჩი – _____

დ. მკვრივი – _____

3. სიტყვის მარაგი

დაუდევარი
მერყევი
ძუნწი
ამპარტავანი

ამოარჩიე და მიუწერე ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს მნიშვნელობით
ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო სიტყვები:

ა. თავმდაბალი – _____

ბ. გულმოდგინე – _____

გ. მტკიცე – _____

4. სწორად გაუნაწილე ჩამოთვლილი სიტყვები ქვემოთ ჩამოწერილ სიტყვებს:

ქულა, ბელტი, გორგალი

ა. ძაფის _____

ბ. მიწის _____

გ. ღრუბლის _____

ლებანი, მარცვალი, გული

დ. ბროწეულის _____

ე. მზესუმზირას _____

ვ. ნიგვზის _____

5. სწორად გაუნაწილე ჩამოთვლილი სიტყვები ქვემოთ ჩამოწერილ სიტყვებს:

ყუა, კალთა, ძგიდე, წვერი

ა. ძაფის _____

ბ. კაბის _____

გ. მაგიდის _____

დ. პურის _____

6. წინადადებებში სწორად გაანაწილე მოცემული სიტყვები:

ა. ხასხასა, ნორჩი

———————— ბალახს ———————— ფერი აქვს.

ბ. ჭრელი, ფერად-ფერადი

———————————— ძაფებით ———————— თოკი დავგრიხე.

გ. ნელა, მდორედ

წყალი ———————— მიედინებოდა, ნავი ————————————მიცურავდა.

დ. კრიალა, ანკარა

———————————————— წყალში ————————————კენჭები მოჩანს.

ე. ცოტა, მეჩხერი

ვაშლის ხეს ———————————————— ტოტები აქვს და ————————————ნაყოფი ასხია.

7. სიტყვის მარაგი

გრძელი
წვრილი
მაღალი
მაგარი

ამ მარაგიდან ისე გაანაწილე სიტყვები, რომ სწორი, ბუნებრივი გამოთქმები შეიქმნას:

ა. ჭოკივით _____

ბ. მთასავით _____

გ. ჩხირივით _____

დ. კაჟივით _____

8. სიტყვის მარაგი

ამ მარაგიდან ამოარჩიე და მიუწერე გამოთქმებს მნიშვნელობით შესაბამისი სიტყვები:

ა. „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“

_____

ბ. „დღე და ღამეს ასწორებს“

_____

გ. „მიწას არ აჩნია“

_____

9. სიტყვის მარაგი



ამ მარაგიდან ამოარჩიე და მიუწერე გამოთქმებს მნიშვნელობით შესაბამისი სიტყვები:

ა. უკან არ იხევს, არ ნებდება - _____

ბ. მოხერხებულია, ყველაფერი გამოსდის - _____

გ. ადვილად ხვდება, რა არის სწორი - _____

10. სიტყვის მარაგი



ამ მარაგიდან ისე გაანაწილე სიტყვები, რომ სწორი, ბუნებრივი გ ა მ ო თ ქ მ ე ბ ი შეიქმნას.

ა. ძაფივით _____

ბ. დანასავით _____

გ. კლდესავით _____

დ. ბურთივით _____

11. სიტყვის მარაგი

უქნარა იღბლიანი ყოყოჩი

ამ მარაგიდან ამოარჩიე და ქვეშ მიუწერე გამოთქმებს მნიშვნელობით შესაბამისი სიტყვები:

ა. „ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული“

_____

ბ. „თავზე ბუზსაც არ ისვამს“

_____

გ. „ჩხირის გადამბრუნებელიც არ არის“

_____

12. გადახაზე ის ერთი ზედმეტი სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით

მ ი წ ა ს არ უკავშირდება:

მდელო, ვაკე, გრიგალი, ჭალა, ბარი, თხრილი

13. გადახაზე ის ერთი ზედმეტი სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით

მ ც ე ნ ა რ ე ს არ უკავშირდება:

ბუჩქი, ფიჭვნარი, რიყე, ჯეჯილი, ნარგი, რტო

თ ა ვ ს ა ტ ე ხ ე ბ ი

ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოცემული წინადადებები:

1. მათი სიმდიდრე კი – ნაყოფიერი მიწები და ოქრო – ხელში ჩაიგდეს.
2. მათ კონკისტადორებს უწოდებენ, რაც ესპანურად „დამპყრობელს“ ნიშნავს.
3. 1492 წელს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ეს კონტინენტი ევროპელებს განსაკუთრებით იზიდავდა.
4. კონკისტადორებმა იქ მცხოვრები აცკეტებისა და ინკების ტომები დაამარცხეს.
5. მე-16 საუკუნის დასაწყისში მის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში ესპანელი დამპრყობლები ჩავიდნენ.

ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთ თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ამბავი ესპანელების მიერ ამერიკის დაპყრობის შესახებ.

---

1. მაგელანი მოგზაურობისას დაიღუპა.
2. ამ მოგზაურობამ დაამტკიცა, რომ დადამიწა მრგვალია.
3. პორტუგალიელმა მოგზაურმა ფერნანდო მაგელანმა სამხრეთ ამერიკის შემოვლით წყნარ ოკეანეში გასასვლელს მიაგნო.
4. მე-16 საუკუნე ახალ-ახალი მიწებისა და სანაოსნო გზების აღმოჩენითა და შესწავლითაა ცნობილი.
5. მისმა თანაშემწემ კი, სებასტიან დე კანომ, მაგელანის დაღუპვის შემდეგ მოგზაურობა განაგრძო და ევროპას მიაღწია.

ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოგივიდეს ამბავი პორტუგალიელი მოგზაურის, მაგელანის ექსპედიციის დედამიწის გარშემო მოგზაურობის შესახებ.

---

1. ბოლოს, 1492 წლის 12 ოქტომბერს, ერთ-ერთი კარაველას გემბანზე გაისმა შეძახილი: „მიწა!“
2. მისი ექსპედიციის მიზანი ინდოეთისაკენ მომავალი საზღვაო გზის აღმოჩენა იყო.
3. ეს ახლადაღმოჩენილი მიწა ამერიკის კონტინენტი იყო.
4. 1492 წლის 3 აგვისტოს ქრისტეფორე კოლუმბმა სამი კარაველათი ესპანეთიდან დასავლეთის მიმრთულებით ატლანტის ოკეანეში გაცურა.
5. გადიოდა დღეები, თვეები, მაგრამ ინდოეთის სანაპირო არ ჩანდა.

ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთი თანმიმდევრობით, რომ მივიღოთ ამბავი კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შესახებ.

შ ე ფ ა ს ე ბ ი ს ს ქ ე მ ე ბ ი

I. თ ა გ ვ ე ბ ი ს ფ ე ხ ბ უ რ თ ი

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 2. დ. 4. დ. 6. გ. 8. ბ. 9. გ. 12. გ.

ღია კითხვები

---

1. ერთი ქულა:
– *იმიტომ, რომ ესაუბრათ / წყნარად ესაუბრათ.*
– *ესაუბრათ ბავშვების გარეშე.*
– *ბავშვებმა საერთოდ ადრე უნდა დაიძინონ.*
0 ქულა:
– *იმიტომ, რომ ჩაი დაელიათ.*

---

3. ერთი ქულა:
– *იმიტომ, რომ ჭრიჭინას ბოხი ხმა ჰქონდა.*
– *ჭრიჭინას ხმა შალიაპინის / რუსი მომღერლის ხმას მიამსგავსა.*
– *იმიტომ, რომ შალიაპინს მსოფლიოში განთქმული ბანი ჰქონდა.*

---

5. ორი ქულა – ჩამოთვლილთაგან პასუხში მოცემული უნდა უყოს ორი:
– *დაძაბული*
– *დაუნდობელი*
– *ნამდვილი*
– *შინაარსიანი*
– *სანახაობრივი*
ერთი ქულა – ჩამოთვლილთაგან პასუხებში მოცემული უნდა იყოს ერთი.

---

7. ორი ქულა

პასუხებში მითითებული უნდა იყოს მარცხენა გარემარბი თაგვის თვისება (*პატარა, მარჯვე*) და ამასთანავე მოქმედება, რომელიც ამ თვისებას ავლენს. მაგალითად,

– *ის იყო ყველაზე პატარა, ის სამ მცველს შორის ძვრებოდა ხოლმე.*

– *ის იყო მარჯვე, ის სამ მცველს შორის ძვრებოდა ხოლმე, / პირველი გოლი მან გაიტანა.*

ერთი ქულა:

პასუხებში მითითებული უნდა იყოს მარცხენა გარემარბი თაგვის თვისება ან მოქმედება, რომელშიც მისი ესა თუ ის თვისება ჩანს.

– *ის იყო მარჯვე/ პატარა.*

–ის სამ მცველს შორის ძვრებოდა ხოლმე, / პირველი გოლი მან გაიტანა.

0 ქულა
– მარცხენა გარემარბი „თეთრების“ გუნდში იყო

---

10. ორი ქულა:
(1)
– სხვენზე მართლაც იყვნენ თაგვები.
– ყველა თაგვი ნაცრისფერი იყო.
– თაგვები კაკალს მართლაც დააგორებდნენ.
– სხვენზე თაგვების ზედახორა გაიმართა.
(1)
– თაგვები ფეხბურთს თამაშობდნენ.
– ეს იყო ნამდვილი ფეხბურთის მატჩი.
– მატჩი 5 : 5 დამთავრდა.

---

11. ერთი ქულა:
– „მაშინ რვა ან ცხრა წლის ვიქნებოდი.“
– „მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.“

II. კ ა დ ე შ ი ს ო მ ი

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 1. გ. 4. ბ. 5. ბ. 7. გ. 9. გ

ღია კითხვები

---

2. ერთი ქულა:
– დაკარგული მიწების გამო / მიწების გამო.

---

3. ერთი ქულა:
– იმიტომ, რომ ეს ბრძოლა კადეშის ველზე გაიმართა.

---

6. ერთი ქულა:
–სამხრეთის მხრიდან
– კლდოვანი მხრიდან

---

8. ერთი ქულა:
–კადეშის ველი წითლად შეიღება.

III. პ ლ ა ნ ე ტ ა დ ა დ ა მ ი წ ა

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 4. ბ. 5. გ.

ღია კითხვები

1. ერთი ქულა:
– ახალი ზელანდია და ავსტრალია.

2. ერთი ქულა:
–ექვსი

3. ერთი ქულა:
–ჩინეთში

6. ორი ქულა (ქვემოთ წარმოდგენილი წინადადებებიდან პასუხში მოცემული უნდა იყოს ორი):
– „შორიდან ეს დიდებულ სამახაობას წარმოადგენდა.“
–„არმიის მოძრაობა საბალეტო დასის მოძრაობასავით მწყობრი იყო.“
–„მართლაც რომ შთამბეჭდავი სანახაობა იყო!“
–„არც ერთს არ ეშლებოდა სცენაზე გამოსვლის რიგი.“
ერთი ქულა (წარმოდგენილი წინადადებებიდან პასუხში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი)

7. ერთი ქულა (მისაღებია ყველა ის საშუალება, რაც ელექტრონის გამოგონებამდე არსებობდა):
– ცეცხლით
– ასანთით
– კვასით
– გაზით

IV. ს ა თ ა ფ ლ ი ა

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 1. გ. 2. ა. 5. დ. 7. გ. 11. ბ.

ღია კითხვები

3. ერთი ქულა:
– გამოქვაბულის შესასვლელი ჩაბნელებული იყო.
– გამოქვაბულში ბნელოდა.

4. ორი ქულა:

პასუხებში მოცემული უნდა იყოს სტალაქტიტის და სტალაგმიტის ის თავისებურება, რომელიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს (სტალაქტიტი მღვიმის ჭერზე კიდია, ხოლო სტალაგმიტი მღვიმის ძირზეა). მაგალითად,

– სტალაქტიტი წარმოიქმნება მღვიმის ჭერიდან მომდინარე წვეთებისგან, რომლებიც მყარ ნივთიერებად იქცევა და გამოქვაბულის ჭერს ეკიდება, ხოლო სტალაგმიტი წარმოიქმნება ძირს დაღვენთილი წვეთებისგან.

– სტალაქტიტი მღვიმის ჭერზეა დაკიდებული, სტალაგმიტი მღვიმის ძირზეა.

– სტალაქტიტი ყინულის ლოლუას ჰგავს, სტალაგმიტი – სოკოს.

ერთი ქულა:

პასუხებში მითითებული უნდა იყოს ერთ-ერთის, სტალაქტიტისა და სტალაგმიტის ის თავისებურება, რომლითაც ისინი ერთმანეთისაგან განსვავდებიან. მაგალითად,

– სტალაქტიტი წარმოიქმნება მღვიმის ჭერიდან მომდინარე წვეთებისაგან. რომელიც გამოქვაბულის ჭერს ეკიდება.

– სტალაგმიტი წარმოიქმნება ძირს დაღვენთილი წვეთებისაგან.

– სტალაქტიტი მღვიმის ჭერზეა დაკიდებული.

– სტალაგმიტი მღვიმის ძირზეა.

– სტალაქტიტი ყინულის ლოლუას ჰგავს.

– სტალაგმიტი ჰგავს სოკოს.

0 ქულა:

– სტალაქტიტი შეიძლება მღვიმეში ნახო.

– სტალაქტიტი წატმოიქმნება მღვიმის ჭერიდან მომდინარე წყლის წვეთებისაგან.

– სტალაქტიტი ცხოველს შეიძლება მიამსგავსო.

---

6. ერთი ქულა:

– მღვიმე პატარა მდინარის მუდმივი მუშაობის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი.

---

8. ერთი ქულა:

– ნიკო მოხიბლული ათვალიერებდა გამოქვაბულს.

– მას თავი შთაბეჭდილებებით დაუმძიმდა.

– თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა.

– როდესაც ნიკო გამოქვაბულიდან გამოვიდა, იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ამოვიდოდა მომავალ ზაფხულს ამხანაგებთან ერთად სათაფლიაზე.

–იგი ფიქრობდა, რომ ამ გამოქვაბულს კვლავაც მოინახულებდა.

0 ქულა:

– ნიკო გამოქვაბულით დაინტერესდა (ზოგადია).

9. ორი ქულა (ქვემოთ წარმოდგენილი წინადადებებიდან პასუხში მოცემული უნდა იყოს ორი):

– მართლაც, წარმტაცი და მშვენიერია ბუნების ჯადოსნური ხელით შექმნილი ძეგლი.

– აბა, რომელი ადამიანის ხელს შეუძლია ასეთი იშვიათი სილამაზის სვეტების, დარბაზებისა და უცნაური გამოსახულებების შექმნა.

– ბუნება უცნაური, დიდი ხელოვანია!

ერთი ქულა (წარმოდგენილი წინადადებებიდან პასუხში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი).

10. ერთი ქულა:

– გაქვავებული ადამიანი, ცხოველი, ფრინველი

12. ერთი ქულა:

პასუხში უნდა ჩანდეს მკითხველის დამოკიდებულება ტექსტის ფორმის (მხატვრული და საინფორმაციო) მიმართ. მკითხველის არჩევანი დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი ტექსტის სპეციფიკაზე მითითებით, ამ ტექსტიდან მოტანილი სპეციფიკური ინფირმაციით.

✓ პაპისა და შვილიშვილის მიერ გამოქვაბულის დათვალიერების ამბავი

– აქ დაწვრილებით არის აღწერილი გამოქვაბული, სტალაქტიტები და სტალაგმიტები.

– აქ უფრო ლამაზად, მხატვრულად არის აღწერილი გამოქვაბული, / სტალაქტიტი შედარებულია ყინულის ლოლუასთან, სტალაგმიტი – სოკოსთან.

– აქ გადმოცემულია პაპისა და შვილიშვილის განცდები, შთაბეჭდილებები, მათი აღტაცება, / გრძნობ მდვიმის იდუმალებას.

✓ ჩარჩოში ჩასმული ინფორმცია სათაფლიას შესახებ

– აქ მოკლედ და ზუსტად არის მოწოდებული ინფორმაცია სათაფლიას გამოქვაბულის შესახებ.

– ამ ტექსტიდან ვიგებთ, თუ სად მდებარეობს სათაფლია, / როგორი ტემპერატურაა გამოქვაბულში, / ვიგებთ დამოქვაბულის ზომებს, / ვიგებთ, ვინ აღმოაჩინა გამოქვაბული.

0 ქულა:

მიუღებელია პასუხი ისეთი დასაბუთებით, რომელიც არ შეესაბამება არჩეულ ტექსტს, ან პასუხი, რომელშიც მხოლოდ ტექსტია არჩეული დასაბუთების გარეშე. მიუღებელია მხოლოდ ტექსტებიდან ამოწერილი ფრაზების შემცველი პასუხი.

13. ერთი ქულა:

სათაფლიას გამოქვაბული	
სიგრძე	900 მ
სიგანე	12მ
სიმაღლე	10 მ
ტემპერატურა	12-13°C

14. ორი ქულა:

პასუხებში უნდა ჩანდეს მკითხველის დამოკიდებულება ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიმართ, რაც დასაბუთებული უნდა იყოს ტექსტიდან მოტანილი მასალით, / ან საკუთარ გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაყრდნობით განზოგადებული უნდა იყოს ტექსტის ძირითადი აზრი.

(1) რატომ შეიძლება მოგინდეს სათაფლიას გამოქვაბულში წასვლა?

– *ძალინ მინდა სტალაქტიტების და სტალაგმიტების ნახვა.*

– *მაინტერესებს, როგორ მიედინება გამოქვაბულში მდინარე.*

– *მინდა ვნახო ის საოცრება, რომელიც პაპამ და შვილიშვილმა ნახეს.*

– *მინდა იმ სილამაზის ნახვა, რომელიც იქ არის.*

– *მინდა იდუმალებით მოცული გამოქვებულის ნახვა.*

– *მიყვარს უცხო ადგილების ნახვა. / მიყვარს თავგადასავლები.*

(1) რატომ შეიძლება არ მოგინდეს სათაფლიას გამოქვაბულში წასვლა?

– *იქ ძალინ ცივა, / იქ ნესტია.*

– *იქ სიბნელეა, / შეიძლება სანთელი ჩამიქრეს.*

– *იქ ბევრი გვირაბია და შეიძლება დავიკარგო.*

– *შეიძლება გამოქვაბულის მდინარეში ჩავვარდე და დავსველდე.*

– *ამის მიზეზი არ არსებობს, წასვლას შემომთავაზებენ თუ არა, მაშინვე დავთანხმდები, ისე დამაიტერესა სათაფლიას მღვიმემ.*

0 ქულა:

– *მაინტერესებს გამოქვაბულის ნახვა, / იქ ბევრი საინტერესო რამეა სანახავი.*

– *იქ შემეშინდება, / მე იქაურობა არ მაინტერესებს* (ზოგადია).

V. კ უ რ დ ღ ლ ე ბ ი ს მ ი წ ი ს ძ ვ რ ა

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 1. ბ .2. ბ. 5. გ. 6. გ. 10. ბ.

ღია კითხვები

3. ორი ქულა (ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვებიდან და ფრაზებიდან პასუხებში მოცემული უნდა იყოს ორი):

– *გაქანდა.*

– *კისრისტეხით აედევნენ.*

– *გადაირბინეს.*

– *ათასობით კურდღელმა გადაირბინა ველები.*

– *კისრისტეხით მორბენალი კურდღლები.*

ერთი ქულა (პასუხში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი სიტყვა ან ფრაზა).

4. ერთი ქულა:

– იქ, სადაც ეს ამბავი მოხდა.

– იქ, სადაც კურდღელს საშინელი ხმა შემოესმა.

– იქ, სადაც მიწა შეზანზარდა.

– კურდღლის სახლში.

– იქ, სადაც კურდღლის აზრით, მიწისძვრა მოხდა.

0 ქულა: სადაც მიწისძვრა მოხდა (არასწორია).

7. ორი ქულა:

ქვემოთ წარმოდგენილი ფრაზებიდან პასუხში მოცემული უნდა იყოს ორი.

– ლომმა კურდღელს მიმართა – „ძმობილო“.

– ლომმა კეთილად გაიღიმა.

– არა უშავს, ჩემო პატარა ძმობილო, ზოგჯერ მეც მეშინია ხოლმე ისეთი რამის, რაც არ ვიცი.

– ლომმა კურდღელი დაამშვიდა.

– უთხრა, არა უშავსო.

– ლომი მშვიდად იყო.

– აუხსნა, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

– უთხრა, რომ თვითონაც ყოფილა შეშინებული.

ერთი ქულა: პასუხში მოცემული უნდა იყოს წარმოდგენილთაგან მხოლოდ ერთი სიტყვა ან ფრაზა.

8. ორი ქულა:

პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ როგორია პერსონაჟის განწყობა ზღაპრის დასაწყისში და ბოლოს, ამასთანავე მოყვანილი უნდა იყოს მისი სხვადასვაგვარი განწყობის განმაპირობებელი მიზეზები. მაგალითად:

– ზღაპრის დასაწყისში კურდღელი შეშინებულია, რადგან ფიქრობს, რომ მიწისძვრა მოხდა; ზღაპრის ბოლოს კურდღელი დამშვიდებულია, რადგან მიხვდა, რომ შეცდა, / ლომის მხარდაჭერა იგრძნო.

– ზღაპრის დასაწყისში კურდღელი აღელვებულია, ფიქრობს რომ ის და მისი მეგობარი კურდღლები დაიღუპებიან. ზღაპრის ბოლოს მას თავისი სისულელის რცხვენია, რადგან ხვდება, რომ განგაში ტყუილად ატეხა.

– ზღაპრის დასაწყისში კურდღელი შეწუხებულია, ის სხვა კურდღლებზე ზრუნავს; ზღაპრის ბოლოს კურდღელი დარცხვენილია, რადგან მიხვდა, რომ ტყუილად ააფორიაქა ყველა.

ერთი ქულა:

პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს პერსონაჟის განწყობა ზღაპრის დასაწყისში და ბოლოს მისი განმაპირობებელი ბიზეზის დასახელების გარეშე, / ან პერსონაჟის განწყობა მხოლოდ მოთხრობის დასაწყისში ან ბოლოს მიზეზის დასახელებით. მაგალითად,

– მოთხრობის დასაწყისში კურდღელი შეშინებულია, ბოლოს დამშვიდებულია.

– მოთხრობის დასაწყისში კურდღელი შეშინებულია, რადგან ფიქრობს, რომ მიწისძვრა მოხდა.

9. სამი ქულა:

პასუხში მითითებული უნდა იყოს კურდღლისა და ლომის ხასიათის ის თვისებები, რომლებითაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან; ამასთანავე მითითებული უნდა იყოს კურდღლის, ასევე ლომის მოქმედებები, რომლებშიც მათი ხასიათის თვისებები ვლინდება. მაგალითად:

– კურდღელი მშიშარაა, რადგან ხმაურის გაგონებისთანავე გაიქცა. ლომი კი მამაცია, მას არ შეეშინდა გაერკვია, რა ხდებოდა სინამდვილეში.

– კურდღელი სულელია / დაუფიქრებელია, მან არ გაარკვია, ნამდვილად მოხდა თუ არა მიწისძვრა. ლომი ჭკვიანია, მან გაარკვია, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

ორი ქულა:

პასუხში წარმოდგენილი უნდა იყოს კურდღლისა და ლომის განმასხვავებელი თვისებები და ერთ-ერთი პერსონაჟის (კურდღლის ან ლომის) მოქმედება, რომელიც მისი ხასიათის თვისებას ავლენს. მაგალითად:

– კურდღელი სულელია, მან არ გაარკვია, ნამდვილად მოხდა თუ არა მიწისძვრა. ლომი ჭკვიანია.

ერთი ქულა:

პასუხში მოცემული უნდა იყოს კურდღლისა და ლომის შეპირისპირება მოქმედებების გარეშე, ან მხოლოდ ერთ-ერთის კურდღლის ან ლომის დახასიათება შესაბამისი მოქმედების მითითებით.

– კურდღელი მშიშარაა, ლომი კი მამაცია.

– კურდღელი მშიშარაა, რადგან ხმაურის გაგონებისთანავე გაიქცა.

VI. გ ა გ რ ი ლ ე ბ ა ჭ რ ი ჭ ი ნ ე ბ თ ა ნ ე რ თ ა დ

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 1. გ. 5. დ. 7. ბ. 11. გ.

ღია კითხვები

2. ორი ქულა:

(1)

– ჭრიჭინა შენ თვითონ უნდა დაიჭირო.

(1)

– ჭრიჭინა ბაზრობაზე უნდა შეიძინო.

3. ერთი ქულა:

– იმიტომ, რომ მას ხტუნვისთვის კარგად აქვს განვითარებული უკანა ფეხები.

– იმიტომ, რომ ჭრიჭინა დახტის.

5. ერთი ქულა:

– უმი კარტოფილი, კიტრი, წყალში ჩამბალი პური, მწვანილი / კარტოფილი, კიტრი, პური, მწვანილი

6. ერთი ქულა:

– საბრძოლო სიმღერა.

8. ერთი ქულა:

ქვემოთ წარმოდგენილი ფრაზებიდან პასუხში მოცემული უნდა იყოს ერთი.

– იჭრიჭინე, ჩარლი, იჭრიჭინე და გამაგრილე, – ვთხოვდი ჩარლის.

– ამ საოცარმა ხმებმა და ჭრიჭინას ფრთების გაბმულმა ზუზუნმა თითქოს გააცოცხლა და სასიამოვნოდ დაატრიალა ჰაერი ჩემს გარშემო.

– „იმღერე, ჩარლი!“ – როგორც ყინულის წკრიალი ბროლის ჭიქაში, ისე გაისმოდა ჩარლის სიმღერა.

– სიცხე თითქოს გაქრა.

9. ერთი ქულა:

– როდესაც ჭრიჭინა ზედა წყვილ ფრთას ასწევს და ერთ ფრთას მეორეს გაუხახუნებს, გაისმის ჭრიჭინი.

– ჭრიჭინას ზედა წყვილი ფრთის ხახუნისას გაისმის ჭრიჭინი.

პასუხი მიუღებელია იმ შემთხვევაში, თუ ჩარჩოში ჩასმული ტექსტი სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი.

10. ერთი ქულა:

3, 4, 1, 2, 5.

12. ორი ქულა:

პასუხში უნდა ჩანდეს, რომ იაპონელის სურვილია, მისი საჩუქრის წყალობით სტუმარმა კარგად იგრძნოს თავი (გაგრილდეს) ზაფხულის სიცხეში; მისი სურვილია აგრეთვე ისიც, რომ საჩუქრის მეშვეობით სტუმარი ძველ იაპონურ ტრადიციას აზიაროს, იაპონური სამყარო უფრო ახლოს გააცნოს.

– იმიტომ აჩუქა ამგვარი საჩუქარი, რომ სტუმარი ზაფხულის ცხელ დღეებში გაგრილებულიყო; კიდევ იმიტომ, რომ ჭრიჭინებით გაგრილება იაპონური ტრადიციაა.

– იაპონელ მეზობელს უნდოდა რომ მთხრობელი ძველ იაპონურ ტრადიციას ზაირებოდა, აგრეთვე მას უნდოდა, რომ ზაფხულის ცხელ დღეებში ბიჭს თავი კარგად ეგრძნო.

– შორეულ აღმოსავლეთში ადამიანები უძველესი დროიდან იშინაურებან ჭრიჭინებს. ჭრიჭინა ბიჭს გაგრილებაში დაეხმარა.

– იაპონელ მეზობელს უნდოდა, რომ მთხრობელს უფრო კარგად და ახლოს გაეცნო იაპონია, იქაური წესები და ჩვეულებები, აგრეთვე უნდოდა, რომ ის სიცხეში გაგრილებულიყო. – გაგრილება ჭრიჭინების დახმარებით ძველი იაპონური ტრადიციაა.

ერთი ქულა:

პასუხში უნდა ჩანდეს, რომ იაპონელის სურვილია, მისი საჩუქრის წყალობით სტუმარმა კარგად იგრძნოს თავი ზაფხულის სიცხეში, / ან მისი საჩუქრის მეშვეობით სტუმარი ძველ იაპონურ ტადიციას ეზიაროს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან პასუხში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი.

– იაპონელმა იმიტომ აჩუქა ამგვარი საჩუქარი, რომ ზაფხულის ცხელ დღეებში სტუმარი გაგრილებულიყო ჭრიჭინას დახმარებით.

– ზაფხულის ცხელ დღეებში ბიჭმა რომ კარგად იგრძნო თავი.

– ამ საჩუქრით იაპონელმა ბიჭი ძველ იაპონურ ტრადიციას აზიარა.

– ჭრიჭინების მოშინაურება იაპონური ტრადიციაა.

0 ქულა:

– იმიტომ აჩუქა ამგვარი საჩუქარი, რომ სტუმარს ჭრიჭინა შეეძინა (გამეორებულია შეკითხვაში მოცემული ინფორმაცია).

– იაპონელმა ბიჭს საჩუქარი ყურადღების ნიშნად აჩუქა (ზოგადია).

---

13. ორი ქულა:

პასუხში დასახელებული უნდა იყოს ისეთი საჩუქარი, რომელიც ქართულ ყოფას და ტრადიციებს აზიარებს უცხოელს; ამასთანავე მითითებული უნდა იყოს ამგვარი საჩუქრის ჩუქების მიზეზი – კავშირი ქართულ ყოფასთან და ტრადიციებთან. მაგალითად:

– ვაჩუქებდი ხევსურულ წინდებს. მინდა გაიგოს, რა ლამაზ წინდებს ქსოვენ საქართველოს მთებში, / რომ საქართველოში არის ასეთი ლამაზი ნივთების შექმნის ტრადიცია, / უფრო ახლოს რომ გაიცნოს საქართველო.

ერთი ქულა – დასახელებულია ისეთი რამ, რაც ქართულ ყოფას და ტრადიციებს აზიარებს უცხოელს, მაგრამ მითითებული არ არის ამგვარი საჩუქრის ჩუქების მიზეზი, ან მიზეზი მითითებულია, მაგრამ ის არ უკავშირდება ქართულ ყოფას და ტრადიციებს. მისაღებია ისეთი პასუხიც, რომელიც არ უკავშირდება ქართულ სამყაროს მაგრამ მოტივირებულია.

– ვაჩუქებდი ხევსურულ წინდებს, / საქართველოს რუკას, / წიგნს საქრთველოს შესახებ.

– ვაჩუქებდი ხევსურულ წინდებს, იმიტომ, რომ ისინი ლამაზია, / გაათბობენ ზამთარში.

– ვაჩუქებდი ძაღლს, მარტო რომ არ იგრძნოს თავი უცხო ქვეყანაში.

0 ქულა:

ვაჩუქებდი ძაღლს / ჩიტს/ ველოსიპედს.

VII. პ ა ფ უ ნ ე ბ ი ს ღ ა მ ე ე ბ ი

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 1. დ. 2. გ. 3. გ. 4. ბ. 5. ბ. 6. ა. 9. დ. 11. დ.

ღია კითხვები

---

7. ერთი ქულა:

პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ ჩირაღდანი ეხმარება ჰალას სიბნელეში, ღამეში დაინახოს პაფუნები, / იპოვოს დამალული პაფუნები.

0 ქულა:

– ჩირაღდნით ჰალა სოფელში ღამით / სიბნელეში დადის (ზოგადია).

8. ერთი ქულა:

პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ მუყაოს ყუთებს ჰალა იყენებს იმისათვის, რომ პაფუნებმა უსაფრთხოდ იგრძნინ თავი, / ყუთები სოფლიდან ზღვის ნაპირზე პაფუნების გადაყვანის საშუალებაა.

10. ერთ ქულა:

პასუხში ნაჩევნები უნდა იყოს, რომ ღამით პაფუნებს ისევ შეიძლება გზა აებნეთ და სოფლის სინათლეებმა ისევ შეიძლება მიიზიდოს ისინი, / ბავშვებს ღამით, სიბნელეში გაუჭირდებათ პაფუნების ზღვაში გაშვება.

12. სამი ქულა:

პასუხში მითითებული უნდა იყოს ორი სხვადასხვანაირი გრძნობა, რომელიც ჰალას უჩნდება პაფუნების ზღვაში გაშვებისას; ამასთანევე დასახელებული უნდა იყოს ამ გრძნობათა გამომწვევი მიზეზები. მაგალითად:

– ჰალა მოწყენილი იყო, რადგან პაფუნებთან განშორება უწევდა. ჰალა ამავე დროს კმაყოფილიც იყო, რადგან პაფუნებს დაეხმარა.

ორი ქულა:

პასუხში მითითებული უნდა იყოს ორი სხვადასხვანაირი გრძნობა და ერთ-ერთის გაჩენის მიზეზი, ან ერთი გრძნობა და მისი გაჩენის მიზეზი.

– ის სევდიანია და ამასთანავე ბედნიერი, რადგან პაფუნებს დაეხმარა.

– ის ბედნიერია, პასუნებს რომ დაეხმარა.

ერთი ქულა:

პასუხში მითითებული უნდა იყოს სხვადასხვანაირი გრძნობა მიზეზების დასახელების გარეშე.

– ჰალა ბედნიერია და თანაც სევდიანი.

0 ქულა

– ჰალა გახარებულია.

– ჰალა დასევდიანებულია და მოწყენილია.

– ჰალა დასევდიანებულია.

13. ერთი ქულა:

პასუხში წარმოდგენილი უნდა იყოს მკითხველის დამოკიდებულება ტექსტში გადმოცემული ამბის მიმართ. ამასთანვე მკითხველისეული შეფასება დასაბუთებული უნდა იყოს ტექსტიდან მოტანილი სპეციფიკური ინფორმაციით, ან საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით განზოგადებული უნდა იყოს ტექსტის ძირითადი აზრი. მაგალითად:

– პაფუნების გადარჩენაში მონაწილეობას მივიღებდი, რადგან სახალისო უნდა იყოს ბნელ ღამეში ჩირაღდნებით პაფუნების ძებნა, / პაფუნების ზღვაში გაშვება.

– პაფუნების გადარჩენაში მონაწილეობას არ მივიღებდი, რადგან არ მიყვარს ღამის გათენება.

– პაფუნების გადარჩენაში მონაწილეობას მივიღებდი, რადგან ბარტყების გადარჩენა, / თანატოლების დახმარება კარგი საქმეა.

0 ქულა:

– *მინდა დავეხმარო ჰალას, / მინდა ამ საქმეში მივიღო მონაწილეობა* (იმეორებს შეკითხვას).

VIII. ს ი ტ ყ ვ ი ს მ ა რ ა გ ი

1. ა. გაცხარდა – გაფიცხდა
   ბ. გამოიკვლია – გამოიძია
   გ. იკამათა – იდავა
   დ. შეამოკლა –შეკვეცა
2. ა. მკვირცხლი – ზანტი
   ბ. გულუხვი – ძუნწი
   გ. ურჩი – დამყოლი
   დ. მკვრივი – დონდლო
3. ა. თავმდაბალი – ამპარტავანი
   ბ. გულმოდგინე – დაუდევარი
   გ. მტკიცე – მერყევი
4. ა. ძაფის გორგალი
   ბ. მიწის ბელტი
   გ. ღრუბლის ქულა
   დ. ბროწეულის მარცვალი
   ე. მზესუმზირას გული
   ვ. ნიგვზის ლებანი
5. ა. ზაფის წვერი
   ბ. კაბის კალთა
   გ. მადიგის ძგიდე
   დ. პურის ყუა
6. ა. ნორჩ ბალახს სასხასა ფერი აქვს.
   ბ. ფერად-ფერადი ძაფებით ჭრელი თიკი დავგრიხე.
   გ. წყალი მდორედ მიედინებოდა, ნავი ნელა მიცურავდა.
   დ. ანკარა წყალში კრიალა კენჭები მოჩანს.
   ე. ვაშლის ხეს მეჩხერი ტოტები აქვს და ცოტა ნაყოფი ასხია.
7. ა. ჭოკივით გრძელი
   ბ. მთასავით მაღალი
   გ. ჩხირივით წვრილი
   დ. კაჟივით მაგარი
8. ა. მედიდური
   ბ. მშრომელი
   გ. პატარა
9. ა. შეუპოვარი
   ბ. მარჯვე
   გ. გონიერი
10. ა. ძაფივით წვრილი
    ბ. დანასავით ბასრი
    გ. კლდესავით მტკიცე.
    დ. ბურთივით მრგვალი
11. ა. იღბლიანი
    ბ. ყოყოჩი
    გ. უქნარა
12. გრიგალი
13. რიყე

თ ა ვ ს ა ტ ე ხ ე ბ ი

ა. 3, 5, 2, 4, 1.
ბ. 4, 3, 1, 5, 2.
გ. 4, 2, 5, 1, 3.

სარჩევი

ნაწილი I

შესავალი ---------- 4

ინსტრუქცია მოსწავლეებისათვის ---------- 8

I. მზის პირისნაბანი (ხალხური ზღაპარი) ---------- 9

ლადო ასათიანი, კრწანისის ყაყაჩოები (ნაწყვეტი) ---------- 12

აკაკი წერეთელი, ძველ სამეფოს (ნაწყვეტი) ---------- 13

II. ცასწავალა (გოდერძი ჩოხელის მოთხრობის მიხედვით) ---------- 14

III. იაკობ გოგებაშვილი, ძმანი ხერხეულიძენი ---------- 18

IV. დავით ჯავახიშვილი, შემთხვევით მოსმენილი საუბარი ---------- 22

V. კომეტები ---------- 26

ინდიელები ---------- 29

დიოგენე ---------- 30

წიგნის სარჩევი ---------- 30

VI. ამერიკის აღმოჩენა ---------- 31

ლილიპუტი ---------- 33

მოცარტი ---------- 34

VII. დინოზავრები ---------- 35

გიგანტი ---------- 37

წიგნი ---------- 38

სად რას ნახავ ---------- 39

VIII. ოლიმპიური თამაშები ---------- 40

გოლიათი ---------- 42

ამოცანა ---------- 43

წიგნები ---------- 44

შეფასების სქემები ---------- 45

ნაწილი II

ინსტრუქცია მოსწავლეებისათვის ---------- 52

I. თაგვების ფეხბურთი ---------- 53

II. კადეშის ომი ---------- 58

III. პლანეტა დედამიწა (პატარა უფლისწული) ---------- 61

IV. სათაფლია ---------- 63

V. კურდღლების მიწისძვრა ---------- 70

VI. გაგრილება ჭრიჭინებთან ერთად ---------- 75

VII. პაფუნების ღამეები ---------- 80

VIII. სიტყვის მარაგი ---------- 85

თავსატეხები ---------- 90

შეფასების სქემები ---------- 91

რომელი ტექსტი მოგვწონა ტექსტში განსაკუთრებით? დაწერე რა მოგვწონა და რატომ: